

ს ა ხ ე ლ ბ ე ა მ ი
1 9 3 1

საქართველოს
საბავშვო

ქათმეზი 15-16



პ ი რ ნ ე რ ი

პიონერების და მოსწავლეთა საზოგადოებრივი-
ლიტერატურული შუროლი.


საქართველოს ბ. კ. ო. ცენტრალური ბიუროს და
განათლების სახალხო კომისარიატის სოციალური
აღზრდის მთავარმაკათვლოვის შუროლი—გაფშ-
თათვის.

No 15-16

საბჭოთა კავშირის
1931
წელიწადი მე-6
კალენდრის ნისაზართი:
ალასკომის, 7.
სახელვამი,
საბჭოთა საქმის

შ ი ნ ა ა რ ს ი:

ძნელადისეული ბრივადა—დავ. შამათავა.
 ბოლშევიკურად შევხვდეთ მოსაგლის აკრეფას.
 თვითმფრინავის მოდელემის ახალგაზრდა ენტუზიასტების შეკრება.
 კავკასიის წითელდროშოვან არმიის მანევრები.
 საჭაერო თავდასხმა ტფილისზე—ს. გ—ა.
 რა უნდა ვიცოდეთ ახალი სასწავლო წლისათვის—ავია.
 ახალგაზრდობის საერთაშორისო დღე.
 ქალთა ამხანაგური დამოკიდებულებისათვის—კ. მელაძე.
 ქვეყანა, რომელიც იძირება.
 უნდა გარდავექმნათ პიონერ-რაზმების სამხედრო მუშაობა—ა. გ.
 მისაბაძი მაგალითი—კორესპონდენტი.
 პურის რაიონების პიონერო, ისმინეთ ვლაპარაკობთ თქვენს საყუ-
 რადლებოთ—გველესიანი—ჯავახიშვილი.
 როგორ ცხოვრობენ ჩვენი მეგობრები საზღვარ-გარეთ.
 საზამთროები—ლინა ნეიშან.
 წისქვილის ქვა—ს. გაბესკირია.
 თქვენც ასე მოიქეცით?
 თვენ რას იტყვით პიონერებო ამ საუბრის გარშემო.



382.

კოჯორი, ა.პ. პიონერთა ლაგერი. პიონერები რაღიმ სემუშაოზე

ქნელაქისეული ბრიგადა

ქუჩა დასტოვეს ღამის ბინდებმა,
დღე შემოიპრა მოზარდ ყოფაში,
ენტუზიასტურ ქვეყნის დიდება
მოჭქონდა მხეს და გმირულ კომკავშირს.

და მივყვებოდით დღეთა გორიალს,
ჩვენ ვიმარჯვებდით გზებზე წინდაწინ.
ჩვენ, მეგობრებო, დღესაც გვგონია:
— იბრძვის ბრიგადა ბორის ძნელადის...

ყოფაო, ბრძოლით დავაუკაცდები.
დავსცხეთ, დავკარით, ტემპში ვიზარდეთ,
რესპუბლიკაში რკინის განცდებით
გაუმარჯვნიათ დამკვრელ ბრიგადებს.

თვით ბრიგადებში კომკავშირია...
ბრძოლით აიღო მიწის ფართობი.
დღეს კაპიტალიზმს ძალზე შიში აქვს:
ენტუზიასტურ ახალგაზრდობის.

გამბედაობა რკინის თან გვდევდა...
ბარიკადებზე სდიოდათ სისხლიც...
დღეს ვაუკაცებდა დამკვრელ დაზგებთან
დღეები ჭაბუკ სოციალიზმის.

მთებს მიღმა ჩაქრეს სხივი წარსულის,
დაეცეს შიში, როგორც ნაცემი...
ქართველებათ ტემპში გასულნი
ვიბრძვით მოზარდი ჯარისკაცები.

დღესაც მივყვებით ტემპთა გორიალს,
ჩვენ გავიმარჯვებთ გზებზე წინდაწინ.
ჩვენ, მეგობრებო ახლაც გვგონია:
— იბრძვის ბრიგადა ბორის ძნელადის...

დავ. შამათავა.

გოლუნივიკურად შეხვედით მოსავლის აკრეფას

შარშან ჩვენ ავკრიფეთ 87 ნახევარი ტონა მარცვლეული. ეს მაშინ, როცა დათესილი გვქონდა 127 მილ. ჰექტარი. მიმდინარე წელიწადში ჩვენ დავთესეთ 143 მილ. ჰექტარი და ამ ფართობების ნახევარზე მეტი დათესილია საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების მიერ.

გასულ წელს თითქმის ბაზარზე გატანილი პურის ნახევარი საბჭოთა მეურნეობებიდან და კოლმეურნეობებიდან იყო მოწეული.

წელს კი თითოეულ 100 ტონიდან 85 ტონა საბჭოთა მეურნეობების და კოლმეურნეობების აკრეფილი პური იქნება.

უნდა გვახსოვდეს

რომ ბოლშევიკური მოსავლის წლევანდელი რაოდენობა იქნება უდიდესი. ხუთწლედის ვადაწყვეტი წლის პროგრამის შესრულება დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ მო-

ვუვლით, როგორ ავკრეფთ მოსავალს და თავის დროზე დავამზადებთ მას. ამ რთული ამოცანის წარმატებით შესასრულებლად უნდა გავიხსენოთ გასულ წელს ჩატარებულ მოსავლის ასაკრეფი კამპანიის ნაკლოვანებები, როგორც მაგ: მანქანების ღრუჭა შეუკეთებლობის გამო მათი სათანადოტ გამოსუყმეგებლობა, შრომის ცუდი ორგანიზაცია და სხვა. მუშაობის ცუდი ხარისხის მიზეზით შარშან ჩვენ დავკარგეთ 17 მილ. ტონა მარცვალის. მაშასადამე, მოსავლის მართი მემკვიდრე თითქმის ჩვენი დაუღვევრობით დაიკარგა.

მსტაფეა დამთავრდა

ა. წ. 16 იანვრიდან (საკავშირო კომპარტიის მე-9 ყრილობის გახსნიდან) 23 მაისამდე (პიონერ-ორგანიზაციის ლენინის სახელწოდების მი-

ღების წლის თავზე) მთელ საბჭოთა კავშირში ტარდება საკოლმეურნეო ესტაფეა. ათი ათასობით მონაწილეობდენ პ. ორგანიზაციის რაზმები ესტაფეტაში, რომელთაც მავალითები აჩვენეს მთელს კავშირს ბოლშევიკურ თესვაში მონაწილეობის. მათ კარგათ შეიგნეს, რომ პურისთვის ბრძოლა — არის ბრძოლა სოციალიზმისათვის.

როდის დაგვირგვინდება საკმე?

არ არის საკმარისი მარტო მშობლების სოც-შეგვირებაში და დამკვრელობაში ჩაბმა. არ არის საკმარისი მარტ ოსასოფლო-სამეურნეო მანქანების შეკეთება ან მეგრძოლი ბრიგადებით თესლეულის გადარჩევა და სხვა.

საქმე მაშინ დაგვირგვინდება, როცა პური, დაცულ იქნება უხვად ბალახისაგან და მავნებლებიდან, — როცა კოლმეურნეობის მთელი მოსავლა — შენობები, საფარები, გელეები დაცულ იქნებიან კულაკების თავდასხმისაგან მოსავლის აკრეფის პროცესში.

როდესაც დაგვირგვინდება საკმარისი რაოდენობის ტარა პურისა და მფხანლის ამსანახად, — როცა პური აღემატება მინდობებიდან, მიიტანება გელეებში და ელემენტობაში.

კომკავშირთან ერთად

საკავშირო კომკავშირის ცეკამ გამოაცხადა მოსავლის საკავშირო კომკავშირული მოვლა.

— თითოეული ახალგაზრდა, კოლმეურნე — დამკვირვებელი!

— არც ერთი ჰქტარი მავნებლებს!

— არც ერთი მარცვალის დაკარგული!

— 62 მილ. ჰექტარ სათიბისათვის!

ბრძოლა — ბრძოლა 10 მილ. ტონა სილღისათვის!

აი ეს ლოზუნგები უნდა შეითვისოს და გაატაროს კომკავშირის ორგანიზაციამ მოსავლის დასაცავ-მოსავლედად.

როგორ უნდა ჩაებას პიონერ-ორგანიზაციები კომკავშირული მოსავლის მოვლის კამპანიაში?

აი, რას სწერს ცენტრალური ბიურო თავის წარიღში ყველა ნორმ პიონერთა რაზმებს.

— თითოეული პიონერ-რაზმი, უწინარეს ყოვლისა, დამკვირვებელი უნდა იყოს მოსავლის აკრეფის მუშაობაში.

უნდა გააერთიანოს რაზმის ბარშემო ყველა მოსწავლე.

გი და ორგანიზაციაში ჩაუ-
ბმელი ბავშვები — საბავშვო
საწარმოო ბრიგადებში, უფ-
რო მათი დახმარების გასაფ-
ხად კოლმეურნეობებისა და
სამანქანო - სატრაქტორო სა-
დგურებისადმი — მოსავლის
აპკრვის საქმეში

მთელი თავისი ზრომა დაუ-
კავშიროს მოსავლის აპკრვის
ტექნიკურ შესწავლას, რასაც
უთუოდ უნდა მიაღწიონ პიო-
ნერებმა.

ბრძოლა გეგმისათვის

მოსავლის ასაკრეფ კამპანიისათვის
მომზადებას დიდი მნიშვნელობა
აქვს.

მსუბუქი კავალერიის ჯგუფებმა
ყველაფერი უნდა გამოიყენოს (კედ-
ლის გაწეთები, ხელშეკრულებები
კოლმეურნეებთან და სხვა), რათა მო-
სავლის ასაკრეფი სამუშაო გეგმა თა-
ვის დროზე შემუშავდეს.

მოვსაროთ მანქანებს

თუ მანქანები თავის დროისათვის
არ იქნება მზად, აკრეფის კამპანია
ჩაიშლება. უნდა იქნეს მიღებული
სასწრაფო ზომები მოსავლის ასაკრე-
ფი და მანქანების ვარგისიანობის გა-
მოსაკვლევად. უნდა გამოინახოს
ლონისძიებები მათ შესაკეთებლად და
გასაუმჯობესებლად.

**პიონერ - რაზმი — მანქანის
ზოგი უნდა გაცემს! უნდა დაი-
ძვას ხელშეკრულებათა ტრაქ-
ტორისტებთან — მანქანის რი-
გინად მოვლის, სათბობი მა-
სალის რაციონალურად გამო-
ყენებისა და მუშა - საქონლის
მზარუნველობის ირგვლივ.**

სამანქანო - სატრაქტორო სადგუ-
რების მუშებთან დადებულ ხელშე-
კრულებებში უნდა აღინიშნოს მოთ-

ხოვნობა; კოლმეურნეობის დამ-
კრულ ბრიგადებში ჩაბმისა და მუ-
შაობის ხარისხის გაუმჯობესების შე-
სახება.

ბრძოლა კოლექტიურ ზრდი- სათვის

მეორე საკოლმეურნეო მოსავალი
უფრო გააძლიერებს კოლექტივს გა-
რედ დარჩენილ დარბ და საშუალო
გლეხურ ფენების კოლექტივიზაციი-
საკენ ლტოლვის ტალღებს. მოჯამა-
გირეთა, დარბთა და საშუალო გლე-
ხთა ახალი მილიონები ამ მოსავლის
მაგალითზე დარწმუნდებიან კოლ-
მეურნეობის სარგებლიანობასა და
მნიშვნელობაში.

ამიტომ მოსავლის ასაკრეფ კამ-
პანიისთან ერთად უნდა მიმდინარე-
ობდეს ფართო ახსნა - განმარტე-
ბით მუშაობა დარბ და საშუალო
ინდივიდუალურ მეურნეთა შორის,
კოლმეურნეობის უპირატესობისა
და კოლმეურნეობის ცოცხალ მილ-
წევების საფუძველზე ახალ-ახალ
გზით. ამისათვის კი საჭიროა:
**გამოვამუშავოთ კულაქების
ზოგები და განუშარბეთ კუ-
ლასკის აბიტაციის მიწანი .სო-
ციალისტური მუშაობის წი-
ნაღმდებ მიმართული. ამი-
ტომ, მოგილიზაცია უნდა მო-
ხდეს ყველა ბავშვების, კლა-
სიური მტრის ცდების წინააღ-
მდეგ საბრძოლველად — მათი
სოციალური მუშაობაში ჩა-
ბრით და გაერთიანებით.**

მაშასადამე, პიონერ ორგა-
ნიზაციის მონაწილეობამ მო-
სავლის კომპაზიკურ მოვ-
ლაში, უნდა შექმნას კოლმე-
ურნეთა, დარბ და მოჯამაგ-
რეთა ბავშვების ახალ მილი-
ონების ძლიერი მოძრაობა,
ნორჩ - აწინურ რაზმებისაგან.

თვითმფრინავის მოდელის ახალ- გაზრდა ენტუზიასტების შეპყრება

მზის სხივებით გაბრწყინებულ პა-
ტარა მოედანზე ირევა და ფუსფუს-
სებს ადამიანთა ერთი ჯგუფი. ისინი
უცნაურ საქმით არიან გართული—
რადღაც პაწია სათამაშო ჰაეროვლო-
ზედო-ზედ უმცებენ მალა ჰაერში
ნებს. აი აგერ უცერად გაგორდა ფა-
ნერის ფიცარზე თეთრი, თითქოს ნა-
მდვილი თვითმფრინავი, გაგორდა და
შეინავარდა მალა ზეცაში, მიიწევს
სულ ზევით და ზევით, და ის უკვე
შორს, ძალიან შორს არის თავის გა-
ფრენის ადგილიდან. ხალხში ჩოჩქო-
ლი შეიქნა. ყველანი საგონებელში
ჩავარდნენ, მოუსვენრობამ შეიპყრო.

ისინი თვალს ძალას ატენვენ ხოლმე,
ესვრიან თავიანთ შენიშვნებს და მო-
საზრებებს.

— ძლიერი ქარია, ვერ გაუძლებს,
აწი თანდათან დაეშვება.

— შეხე! ის კი არა, ერთი კილო-
მეტრით დაგვშორდა!

— ვერ გაუძლებს, ჩამოვარდება და
დაიშხვრება!

იქვეა „მსაჯი“, რომელიც მთლად
ყურადღებით არის გადაქცეული და
გაფაციცებით ადევნებს თვალყურს
ყოველივეს, რაც ხდება, ზომავს მან-
ძილს, სინჯავს და ათვალთვრებს ამ
მოჩვენებითი სათამაშოებს, აღნიშნავს.



საუკეთესო ავიო-მოდელისტი ამხ კრუპინი.

შედეგებს სპეციალურ ბარათებზე
თუ დაუკვირდი იმას, რაც იქ ხდება,
იმ დასკვნამდე მიხვალ, რომ ეს უბ-
რალო თავის გართობა როდია და
რომ სათამაშოები ნამდვილად სათა-
მაშოები არაა, არამედ რაღაც სხვა
რამ.

ეს არის—ავიო-მოდელისტთა მე-
ოთხე სრულიად საქართველოს შეკრე-
ბა სოფელ ქვიშხეთში. მოფუსფუსე
ადამიანები — ეს შეკრების მონაწილე-
ებია, „სათამაშოები“ — აპარატების
მოდელები, „არბიტრი“ — საქართვე-
ლოს თავდაცვა - ავიაციის წარმომე-
დგენელი ამხ. მაჭავარიანი. ხოლო
აქ მათ თავი მოიყარეს იმისათვის,
რათა გამოარკვიონ სამოდლო საქ-
მეში არსებული მიღწევები, იხილონ
სამოდლო თვითმფრინავთა საუკე-
თესო, რჩეული აპარატები.

ფრენის მონაწილენი არ არიან
კმაყოფილნი — ხელს არ უწყობს
ამინდი. თვით საუცხოვო, განსაკუთ-
რებული ხერხითა და ხელოვნებით
დამზადებულმა ამხ. კრუპინის მო-
დელმაც კი განიცადა „ავარია“, და-
იმსხვრა. რამდენიმე მოხდენილი გა-
ნავარდება, ტრიალი ჰაერში და ქა-
რის მძლავრი დაბერვით მოდელი
ბრუნდება თავდაღმა, სისწრაფით
ეცემა ძირს, მიწაზე, და შედეგად—
დამსხვრეული ფუხელიაჟი და მოტე-
ხილი ფრთა.

— არაფერი! ვავასწორობ, ანდა
სულ ხელახალს ვავაკეთებ,—არ კარ-
გავს იმედს კონსტრუქტორი, და თან
გულდასმით ათვალთვრებს ვერავი ქა-
რის მიერ მიყენებულ დაზიანებებს,
ქარის, რომელმაც გაანადგურა და
გააქარწყლა ადამიანის გონების და
ხელების მრავალი საათის ნამუშევარ-
ი.




■ თვითმფრინავი მოდელის გაფრენა. ■

შეკრებაზე თავი მოიყარეს ტფილისიდან, ქუთაისიდან, ბათომიდან, სტალინისიდან, სოხუმიდან, ფოთიდან, გორიდან, სამტრედიიდან და ზუგდიდიდან ჩამოსულმა ოსტატებმა, ფრად დახელოვნებულმა აეროპლანების მოდელების კეთება-დამზადებაში. რამდენიმე საათის განმავლობაში სწარმოებდა მოდელების გაშვება - აფრენა. შედეგებს აღნიშნავდნენ პირად ბარათებზე. შეჯიბრს დაესწრნენ ქვიშხეთის პიონერთა ბანაკიდან მოსული პიონერები და კოლმეურნეები ახლო-მახლო სოფლებიდან. ისინი დიდის ყურადღებით და დაკვირვებით სინჯავდნენ და ათვალიერებდნენ პაწია თვითმფრინავებს და გამალებით ადევნებდნენ თვალყურს მათ თვალწინ გამართულ შეჯიბრებას, ვაშას ძახილითა და ტაშის კვრით ხვდებოდნენ თითოეულ მოხდენილ გაფრენას.

კრუპინი, ჩიხლაძე, ნინო პომორცევის ქალი, ცაგარეიშვილი, რენკე—ყველა ესენი ახალგაზრდა ინტუზისტები არიან აეროპლანების მოდელების გაკეთება - დამზადების საქმეში. ყველანი მზად არიან თითოეული თავისუფალი წუთი გამოიყენონ აეროპლანების ახალ-ახალი კონსტრუქციების გამოგონებისათვის, თვითმფრინავის მოდელის ახალ გაუმჯობესებულ წვრილმანების მოფიქრებისა და შეტანისათვის, რათა შემდგომ გულის ფანქვალით უტკირონ „თავიანთ“ გაფრენას და ნიადაგი მოუმზადონ სულ ახალ-ახალ მიღწევებს აეროპლანების ფრენის საქმეში. ამ შეკრებაზე პირველი ადგილი ფიუნელიაყურ მოდელის დამზადების მხრივ წილად ხვდა ამხ. კრუპინს (ტფილისის), სქემატიურ მოდელისა

მხრივ — ამხ. რენკეს (ფოთი).

იკითხავთ, რისთვისაა საჭირო ეს პაწაწკინა თვითმფრინავები? ეს ერთგვარი, თავისებური წინასწარი სამხადისი და შესავალია ავიაციის დარგის მუშაკთა ცვლის საფრენო მოღვაწეობის. თვითმფრინავების პაწია მოდელის დამზადება - კეთებით ჩვენ უეჭველად მივალწევთ იმას, რომ თავდაცვა - ავიაქიმის მასები, ჩვენ მიერ წაქეზებული, თავიანთ წრიდან გამოპყოფენ ახალ ძალებს აეროპლანების გამოგონებლობის და კონსტ-



■ თვითმფრინავი მოდელის „ავარია“ ■


რუქციის დარგში. აეროპლანების სა-მოდელო წრეების წევრები თავისი მუშაობის პროცესში შეიძლება წააწყდნენ ახალ, ჯერ არანახულ მფრინავ აპარატს ტიპს, რომელიც მთელ გადატრიალებას მოახდენს საპაერო მიმოსვლის საქმეში. ამასთანავე ერთად, ჩვენი ახალგაზრდობა, რომელიც მუშაობს აეროპლანების სამოდელო წრეებში, თანდათან იძენს სულ ახალ და ახალ ცოდნას ფრენის საქმეში, აეროპლანების სამოყელო წრიდან მას შეუძლია გადავიდეს საპლანერო წრეში, და შემდეგ, უკეთეს ის წარმატებებს მიაღწევს, სასწავლო პლანერიზმში — გადაევა ავიაციის სკოლაში. ამიტომ უდიდესი მნიშვნელობა უნდა მივაკუთვნოთ და განსაკუთრებულის ყურადღებით უნდა მოვეპყრათ ჩვენში აეროპლანების სამოდელო წრეების განვითარების საქმეს, რათა გადაევა უციოთ ისინი ნამდვილ მასიურ ორგანიზაციად და საბჭოთა კავშირის აერომშენებლობის მამოძრავებელ ფაქტორად.

იმ. შამილინიძე.



ეს საუკეთესო დემონსტრაცია იქნება იმის, თუ რამდენად არის მზად ჩვენი სახელოვანი წითელი არმია სოციალისტური საშობლოს დაცვისათვის. მაშასადამე ამ მანევრების მნიშვნელობა მეტად ღრმაა, განსაკუთრებით ამ პირობებში, როცა მოსალოდნელია კაპიტალიზმის უკანასკნელი სიტყვა, უკანასკნელი გაბრძოლების სახით.

კაპიტალიზმის კრიზისი ნიშნავს — ზარბაზნების ამოქმედებას, ომის ქარტახილს. და ეჭვი არ არის, რომ კაპიტალიზმსა და კომუნისმს შორის გამწვავებულ მდგომარეობას მოჰყვება გადამწყვეტი ბრძოლა. ამ პირობებში წითელი არმიის სიძლიერეს, რა თქმა უნდა, დიდი ყურადღება ექცევა არა მარტო ჩვენის მხრი



დან, არამედ კაპიტალიზმის ბებერი ძალებიც უთვალთვალენ ჩვენს ძალებს და აღიარებენ კიდევ, რომ ჩვენ სერიოზულ რევოლუციონურ სამხდრო ძალას წარმოადგენთ.

ეს მათ აფიქრებთ და დღემდე ვერ გაბედეს ომი ჩვენთან, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ კაპიტალიზმის აგენტები გულდამშვიდებით უმწერენ სოციალისტური სახელმწიფოს წრდასა და განვითარებას, თვითეული აწ-

კავკასიის წითელდროშოვან არმიის მანეჟრები

ავვისტოს ბოლოს სექტემბრის პირველ რიცხვებში, საბჭოთა საქართველოს ტერიტორიაზე დაიწყება კავკასიის წითელდროშოვანი არმიის მანევრები. ამ მანევრებს უდიდესი

მნიშვნელობა აქვს — ის წლიური მცვადინეობის საბრძოლო ჯამია — იგი მაჩვენებელია ჩვენი სამხედრო ნაწილების ბრძოლის უნარიანობის, პოლიტიკური მომზადების — საერთოდ

ლი ფაბრიკა - ქარხანა სოციალისტური შრომით აგებული, პროლეტარული ნებისყოფით შექმნილი, ლახვარია კაპიტალიზატური გულისათვის.

მესამე გადამწყვეტ წელში სოციალისტური ქვეყნის 518 ფაბრიკა-ქარხანა და 1040 სამ. - სატრ. სადგური უფრო ბასრი იქნება, რომელსაც, ალბად ველად გაუძლებს ევროპის დამყაყებელი ბურჟუაზიული კლასის იდეოლოგია და პრაქტიკა.

მაშასადამე, ჩვენს ეკონომიურ და პოლიტიკურ ზრდასთან ერთად, უნდა გავზარდოთ ჩვენი სამხედრო ძლიერება, რადგან ამას მოითხოვს კაპიტალიზატური გარემოცვის ობიექტური პირობები.

მანევრებმა უნდა გვიჩვენოს რამდენად დიდია საშიშროება ინტერვენტებისათვის ჩვენი წითელი არმიის სახით, რომელიც შეიარაღებული პროლეტარული ავანგარდია.

მანევრების მნიშვნელობა კიდევ იმაში მდგომარეობს, რომ ამით წითელი არმია დაუახლოვდება უფრო მეტად ა.-კ. მშრომლებს, გაეცნობა მის ყოფა - ცხოვრებას. მანევრებში საშუალებით კიდევ უფრო მეტად შეისხამს ხორცს პოპულიარული დებულება, რომ: „საბჭოთა კავშირში ხალხი და არმია წარმოადგენს ერთ მთელს, ერთ ოჯახს“. კავკასიის წითელ დროშოვანი არმია თავის არსებობის განმავლობაში მტკიცედ არის დაკავშირებული ა.-კ. მშრომელ ხალხთან და ამ მანევრებით ამ კავშირს უფრო გააღრმავებს, უფრო მეტ შინაარსს მისცემს.

მანევრები არა მარტო გასინჯვა, წითელარმიისა, არამედ იგი მთელი

ჩვენი საბჭოთა საზოგადოებრივობის გასინჯვაა. თანამედროვე ომს აწარმოებს არა მარტო არმია, არამედ მთელი მხარე. სხვანაირად გამარჯვება შეუძლებელია. რა თქმა უნდა, ამ პირობებში ცოცხალ საბჭოთა საზოგადოებრივობას, მის მტკიცე კავშირს არმიასთან უდიდესი გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს.

საბჭოთა საზოგადოებრივობას, მის მტკიცე კავშირს არმიასთან უდიდესი გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს.

პარტიულ, საბჭოთა პროფესიონალურ, კომკავშირულ, პიონერულ და ლიტერატურულ ორგანიზაციების როლი მეტად დიდია. ამათ უნდა აწარმოონ ფართო ახსნა - განმარტებითი, სააგიტაციო მუშაობა, ესენი უნდა ამოუდგენ გვერდით სამხედრო ნაწილებს, უნდა მიიღონ უშუალო მონაწილეობა მანევრებში.

ოსო - ავიაქიმმა თავისი შენაერთებით დიდი ფხა უნდა გამოიჩინოს. წითელი ჯვარი, რადიო - ჯგუფები, ავტოდორი, კოლპერატივი, რომელი ერთი ჩამოვთვალთ, რომ არ ეხებოდეს მანევრებისადმი სერიოზული მოპყრობა და ყურადღების გამახვილება.

ჩვენ ვაღივებული ვართ, რევოლიუციონური აღტყინებით, საკავშირო კ. პ. (ბ) ხელმძღვანელობით ყოველთვის მზად ვიყოთ და გავიმარჯვოთ. ამას მოითხოვს სოციალიზმის, კომუნისმის ინტერესები, —ამას მოითხოვს რევოლიუციონური პროლეტარიატის მილიონებიანი ტაღლა.



საჰაერო თავდასხმა ტფილისზე

ავიაციის და ქიმიის განვითარება სულ სხვადახრად სვამს მომავალი ომის საკითხს.

მომავალი ომის შემთხვევაში ფოლადის არწივები საფრთხეში ჩაადგებენ ზურგს — ანუ უკეთ რომა ვსთქვათ — მშვიდობიან მოსახლეობას.

საჰაერო ქიმიური თავდასხმა მომავალი ომის ურთულესი ფორმა იქნება.


ამიტომ საჭიროა, რომ ყველა მოქალაქემ განურჩევლად ჰასაკისა და სქესისა იცოდეს „საჰაერო ბრძოლისა და ქიმიური ომის“ საიდუმლოებანი.

საბჭოთა კავშირი თავის პოლიტიკის პრაქტიკაში მუდამ ამტკიცებდა და ამტკიცებს მშვიდობიანი პოლიტიკისა და მშვიდობიანი ცხოვრების აუცილებლობას. ჩვენი კავშირის პროლეტარიატს ომი არ უნდა, მაგრამ თუ რომელიმე ბურჟუაზიული სახელმწიფო მოისურვებს ჩვენზე თავდასხმას, — ჩვენ საკადრისი პასუხისათვის მზად უნდა ვიყოთ.

დამყაყებული ბურჟუაზიის პოლიტიკა იქითკენა მიმართული, რათა სისხლში ჩააღრმოს საბჭოთა კავშირი, ჩვენ ამას გვრძნობთ და უნდა ვემზადოთ კიდევ.

კავკასიის წითელდროშოვან არმიის მანევრებთან დაკავშირებით მოხდა ჩვენი საჰაერო ძალების მანევრებიც.

4 სექტემბერს მოწყობილი საჰაერო „თავდასხმა“ ტფილისზე, ერთ-ერთ კადევ ამტკიცებს იმას, რომ ჩვენ რევოლიუციონური ბრძოლისათვის გვაქვს ნამდვილი ბოლშევიკური საბრძოლო უნარი და ენერჯია.



წითელარმიელები ქვემოხან



რა უნდა ვიცოდეთ ახალი სასწავლო წლისათვის

შუადღეა... (ვა მოწმენდილია... ქალაქში სტვენაა, აყვირდენ ქარხნები, ორთქლმავლები. ტრამვაის მოძრაობა შეწყდა. ქუჩა გაქვავდა. მოსახლეობა მიიმალა. ქუჩაში დარჩენილი ხალხი აეკრა კულებს, მიაწყდა ჭიშკრებს, თითქოს ზღვის გაგულიებული ტალღა ეცემა ნაპირს. სიჩუმეა...)

ჩაილა, სივრცეში, ოდნავ, გამოჩნდა წავი ნაჭერი, იქნებ ღრუბელია, — მაგრამ იგი თანდათან ეშვება ირს — თურმე ნუ იტყვი „ფოლადის მტერი“ ზვერავს ტფილისს.

ხმაურობა... თითქოს აეტოვადარბენაა, მაგრამ არა, ტფილისს ჩრდილო-აღმოსავლეთიდან შემოესია ათეული წყება ჰაერობლანებისა...

ქალაქში მხროლავი გაზის სუნია. — ხომ არ მოგეშხამავს?

მეკითხება ჭიშკართან გაჩერებული, წელში მოხრილი დედაკაცი.

— არა, დედი, — მანევრება. ვუპასუხე.

— არ ვიცი გაიგო თუ არა ცნობისმოყვარე დედაკაცმა, — თითქოს დაკამაყოფილდა ჩემი პასუხით.

როცა კარგად შებინდა, „მტერმა“ ზაპესი ააფეთქა. ტფილისში სიბნელემ წავი ღრუბელივით მოიკალათა. ჰაერის სივრცის შხამავენ. რკინის ფრინველს გულით თითქოს ვარსკვლავი დაქონდა — ანათებდა.

სამარის სიჩუმე. მოსახლეობა ნიწყნარდა. განვლო რამოდენიმე წუთი და ზაპესმა კვლავ ავიზიზა ბოძებზე, ვიტრინებზე და სახლებში ჩამოკიდებული ათეული ათასი შუშის თვალი.

გულში სიხარულის ცეცხლი ინთება, თვლებში სიხარული მზის სხივებით ბრწყინავს. თავში ათასი აზრი მიტრიალებს, — მიტრიალებს ისე ძლიერათ, როგორც ამ დღეს, ამ ღამეს ტფილისის თავზე მოკურავე რკინა და ფოლადი.

ის აზრია: „თუ მოხდა ომი, ჩვენ დაიპარავით“.

მართლაც ისტორიის ბორბალი ბიბერი ჩეყენის სასარგებლოთ აღარ დატრიალდება...

10 წუთის შემდეგ — ტფილისში სოციალისტური შრომა ტემპებს მისდევდა კვალდაკვალ.

ქუჩაში ისევ ჩვეულებრივი მოძრაობა გაგრძელდა.

„მტერმა დაასრულა ბრძოლა“, ანუ ჩვენმა ავიაციამ ბრწყინვალეთ დაიჭირა გამოცდა.

კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა ხიოსუფეობამ ოქტომბრის რევოლუციის პირველ დღეებიდანვე ქვეყნის სახალხო განათლების საკითხებს უდიდესი ყურადღება მიაპყრო, თავისი პროგრამის (კენტრში მოაქცია იგი.

კულტურული თრონტის სათანადო სიმაოლეზე დაყენება დღესაც სოციალისტური მშენებლობის მნიშვნელოვან საკითხთა შორის სდგას. არა მარტო ჩვენი ახალგაზრდა თაობის მოვლა - პატრონობა განათლების დარგში, არამედ მუშაობის ისარი იქთკენაც არის მიმართული, რომ წერა - კითხვის უცოდინარობის რაულაც დავემარცხოთ.

ადვილა ყოგილგვარი საძნელო საქმის შესრულება თუ არ უღალატებთ ბოლშევიკურ ტემპებს, ბოლშევიკის ფოლადისებურ ნებისყოფას. რა არ უნდა დავძლიოთ! ან რა არ დაგვიძლივია?

სოციალისტური მშენებლობის განმავეებამ და განვითარებამ, კულტურულ ფრონტზე უდიდესმა მიღწიებმა, ჩვენს წინაშე ახალი საკითხები, სახალხო განათლების გარდაქმნის ახალი პრობლემები დააყენა. და ეს განსაყოფიებით (ხადი შეიქმნა ესლა, როცა ჩვენ წარვსდევით ახალ სამოსწავლო წლის მიჯნასთან. იმ თავითვე სუთწლეიდის საფუძველზე მუშაობამ და ესლა მესამე გადმწყეტი წლის პროგრამის პრინციპებზე მოქმობამ. სახალხო განათლებას უკარნახა ჩვენს სკოლებში პოლიტენიზაციის გატარება.

ჩიინი სკოლების პოლიტენიზაციის იროოლია. რომ ამ საკითხს უფრო ათრე დაეკვირვობდით, უფრო მეტს მოიგიბდით, მაგრამ ამ წელს პოლიტენიზაციამ უკვე საკმაო აეტორიტეტი მოიპოვა — იგი ყველასათვის მისაღები და საჭირო გახდა. და აქედან გამომდინარეობს ის დებულება, რომ სკოლების პოლიტენიზაცია სოცმშენებლობის სხვა ტემპებს არ ჩამორჩება და სოციალიზმის პერიოდში შესულთ, უცოდინარობისაგან, ტენიკური მოუშნადებლობისაგან, საერთოდ უკულტურობისაგან, თავებრუ არ დაგვენევეა.

ახალ სამოსწავლო წელში უფრო მეტად უნდა გავალრძავოთ ჩვენი სკოლების პოლიტენიზაცია.

პოლიტენიზაცია არავითარ შემთხვევაში არ გულისხმობს მარტო პოლტენიკურ - თეორეტიულ მზადებას. პოლიტენიზაცია გულისხმობს საწარმოო პრაქტიკასთან დაახლოებას, ჩვენი ახალგაზრდა თაობის კომკაენიცილების, პიონერების წარმოებთან ახლოს ყოფნას.

ყველა ვიცით თეორეტიულად — რითი მოძრაობს ორთქლმავალი, მაგრამ, როცა ძვით ჩვენ ვისწავლით ორთქლმავლის წაყენას, ეს იქნება შედეგად — გაიარჯვება პოლიტენიზაციის ფრონტზე. მტკიცე პოლიტენიზაციის უცოდინარობის პრაქტიკის ცხოვრებაში გამოყენებით, ჩვენ გაგანათლებულ პარტიისა და ხელოაოფლების მიერ დასახულ მიზნებს.

ახალი სამოსწავლო წელი კარგდება და განსაკუთრებით, ესლავე უნდა ვიცოდეთ ყველაფერი ის, რაც სწორ მიმართულებას მისცემს საწარმოო ცოდნის შეძენით პოლიტენიზაციას.

ჩვენი საბჭოთა სკოლები უნდა გადააქციოთ სოციალისტური მშენებლობის და ბოლშევიკური ტემპების სარკედ. პიონერებმა უნდა შესძლონ არა მარტო ამ სარკის დათლა და ამ სარკეში თავიანთი სახეების დანახა, — არამედ იმათ უნდა იბრძოლონ იმი სთთვის, რომ ლამაზად დათოილ კულტურის სარკეში ჩახედონ: მუშებს, გლეხებს და ყველა ეს კი გულისხმობს წერა - კითხვის უცოდინარობისა და მტკიცე უცოდინარობის დაციას.

ყველა პიონერს უნდა ახსოვდეს, რომ ახალი სამოსწავლო წელი არის, საბჭოთა სკოლების მიერ პოლიტენიზაციის სიმაღლეების დაპყრობის წელი — საერთოდ კულტურულ ფრონტზე ჩამორჩენილობის მოსპობის წელი, რასაც აუცილებლად მოითხოვს ჩვენი კავშირის სოციალისტური მშენებლობის ბოლშევიკური ტემპები და სოციალიზმის პერიოდის სკოლისაგან, ტენიკური მოუშნადებლობისაგან, საერთოდ უკულტურობისაგან, თავებრუ არ დაგვენევეა.

ს. ბ.—ა.

აზია

ახალგაზრდობის საერთაშორისო დღე

ამხანაგებო პიონერ - ოქტომბრელებო! ამ დღეს მეჩვიდმეტეჯერ ატარებს საერთაშორისო ახალგაზრდობა. ეს დღე წელს განსაკუთრებულ პირობებში ტარდება: ერთის მხრივ საბჭოთა კავშირის მშრომელების გამარჯვება ინდუსტრიალიზაციისა და სასოფლო მეურნეობის ფრონტზე, ხოლო მეორეს მხრივ იმპერიალისტურ ქვეყნებში ახალგაზრდობის კაპიტალის მძიმე უღელ ქვეშ ყოფნა, საერთაშორისო ახალგაზრდობის წინაშე მეტად რთულ ამოცანებს აყენებს.

ამ დღეს საერთაშორისო ახალგაზრდობამ ერთხელ კიდევ უნდა შეამოწმოს თავისი რიგები, გამოაანჯაროს იმპერიალისტური ქვეყნების ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდისა და მოძრაობის ხელის შეშლელი პირობები, ფართოდ ჩააბას ახალგაზრდობა დრომოკმული კაპიტალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში და საბჭოთა კავშირის თავდაცვის საქმეში.

კერძოდ საბჭოთა კავშირის ახალგაზრდობა კი შეამოწმებს თავის მონაწილეობას სოციალიზმის აღმშენებლობის საქმეში; ის ჯამს გაუკეთებს ჩატარებულ მუშაობას და დასახავს ახალ ამოცანებს სოციალიზმის ტემპების აჩქარებისათვის, ხუთწლიდის ოთხ წელიწადში განხორციელებისათვის.

გარდა ამისა, ახალგაზრდობის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით გამოცხადებულია 4 მილიონიანი


ლენინურ კომკავშირის სამთავრობო იერიში სოციალისტური ინდუსტრიის ახალი „518“ გიგანტის დროზე ამუშავებისათვის, „1040“ სამანქანო-სატრაქტორო სადგურის დროზე აგებისათვის. კომკავშირისა და პიონერ-ოქტომბრელთა ორგანიზაციები ენერგიულად უნდა ჩაებან ამ იერიშში, განსაკუთრებით დიდია ამ შემთხვევაში წარმოებაში ჩაბმული ახალგაზრდობის როლი, კომკავშირის თვითეული ორგანიზაცია უნდა შეხვდეს ახალგაზრდობის საერთაშორისო დღეს, ახალი და უმაღლესი საწარმოო მაჩვენებლებით და მიღწევებით.

ამ დღისათვის უნდა დამთავრდეს მთელი მუშა-ახალგაზრდობის სოციალისტურ შეჯიბრებასა და დამკვირვლობაში ჩაბმა; შრომის ეს ახალი ფორმები კიდევ უფრო უნდა გაიშალოს ახალგაზრდა მუშებს შორის იმ ბრძოლის გარშემო, რომელიც სწარმოებს ევროპისა და ამერიკის ტენიკურად დაწინაურებულ წარმოებათა კონკრეტული მაჩვენებლების გადაჭარბებისათვის.

ახალგაზრდობის საერთაშორისო დღისათვის ყველა კომკავშირელი და მუშური ახალგაზრდობა ჩაბმულ უნდა იქნეს ტენიკური სწავლების საქმეში. სოფლად მომუშავე ახალგაზრდობამ კი ამ დღეს უნდა შეამოწმოს კოლმეურნეობანი. სოფლის კომკავშირმა და პიონერ-ოქტომბრელთა მასამ უნდა გამოარკვიოს რა მდგომარეობაშია მოსავლის აკრეფის და ჰუბრის დამზადების კამპანია, გატარე-

ბულია თუ არა ყველგან სანაოდა სისტემა და შრომის სწორი აღრიცხვა; ამ დღის ჩატარებასთან დაკავშირებით არა ნაკლები ყურადღება უნდა მიექცეს კულტურულ ფრონტს: ახალგაზრდობის მასებმა უნდა შეამოწმონ სასკოლო მშენებლობის საქმე, მზადება სასწავლო წლისათვის, ქონსამკითხველოებისა და საკლუბო მუშაობის მდგომარეობა, საბავშვო ბალები და ბაგები; ერთი სიტყვით, ამ დღეს ახალგაზრდობის ფხიზელმა თვალმა არ უნდა დასტოვოს დაუთვალეიერებელი სოციალისტური მშენებლობის არცერთი კუნჭული.

დრო ცოტა დარჩა. ემზადეთ, ამხანაგო პიონერ-ოქტომბრელებო ამ დღის ბრწყინვალედ ჩატარებისათვის; ესლავე შეიმუშავეთ ამ დღის ჩატარების გეგმა, მტკიცედ შეამჭიროეთ თქვენი რიგები, ფართოდ ჩააბით ახალგაზრდობა პიონერ-ოქტომბრელთა ორგანიზაციებში, გვერდით ამოუდევქით პარტიასა და კომკავშირის და მათთან ერთად განაგრძეთ ენერგიული ბრძოლა; ხუთწლიდის მესამე გადაწყვეტი წლის ამოცანების გადაჭარბებით შესრულებისათვის.





ყოფა - ცხოვრების პრობლემის ძირითადი და არსებითი მნიშვნელობის შემცველი საკითხია ქალთან დამოკიდებულებისა და ამხანაგური ურთიერთობის მომენტი. ჩვენ ამ მხრივ ჯერ კიდევ ვერ მივალწიეთ სახარბიელო მდგომარეობას. კომკავშირულ ვაჟსა და გათხოვილ კომკავშირულ ქალს შორის ამხანაგური დამოკიდებულების ფორმები ჯერ კიდევ არ მოგვიპოვეთ. გათხოვილ კომკავშირულ ქალისადმი არა ამხანაგური, არა - კოლეგიალური დამოკიდებულება — ძველი ბურჟუაზიული ოჯახის ნაშთია. არის შემთხვევები, როდესაც კომკავშირული ქმარი თავის ცოლს სცემს, დასაღვეს მოსაკლავად და სისტემითიურადაც იჭვიანობს მასზე. ასეთი ტენდენციები დღესაც პოპულარულია მოვლინებას ამა თუ იმ კომკავშირელის პრაქტიკულ საქმიანობაში. ამ მხრივ, აუცილებლად სათანადო გარდატეხა უნდა მოხდეს, — უნდა გაიროდეს არა - ამხანაგური დამოკიდებულების რკალები ვაჟსა და ქალს შორის.

ამ შემთხვევაში აღნიშნული ამხანაგობი უდავოდ ჯერ კიდევ არ არიან განთავსებული ბურჟუაზიული ოჯახის მანეჟი ჩიკულებისაგან. სამწუხაროდ მდგომარეობაა, მაგრამ აოსანიშნაია, რომ ტრადიციული ტყაობის რკალი ჯერ კიდევ არაა გაროილი.

ხშირად ჩვენი კომკავშირელების საქმიანი ცილები ყოველგვარ ეთიქას და ხელოვნობის რიგს იღებს. ისინი ქალებს აყენებენ არანორმალურ პირობებში და ყოველმხრივ ელობიან წინ. ამ მხრივ, მეტად საინტერესო მასალას წარმოადგენს კ.კ. ქალის — ოლოა ჩიტაძის წერილი. აი, რას წერდა ჩიტაძე.

„ახალგაზრდა კომუნისტის“ რედაქციას:

„ორი წლის წინად მე მიმიღეს ქრთილისის ერთერთ ჩარხანაში, სადაც შიიოთი კომკავშირის უჯრედში. მაშინ ამ უჯრედის მდივანი იყო მოთიბაძე. თუმცა მე სულ ახალგაზრდა იყავი, მაგრამ მაინც ვეწეოდი საზოგადოებრივ მუშაობას. არ ვიცოდი, როგორ ვასრულებდი მას. — კარგად თუ ავად — მაგრამ, (ახალია, ის, რომ მე ვითვლებოდი აქტიურ წიგრად ჩვენს უჯრედში. ანგარიშის ჩაბარების დროს ჩემი მუშაობა ბიუროში არა - დამაკმაყოფილებლად სწავ. რადგან მე უფრო დამნაშავე გამოვიჩინე. იიორი უფროდის ბიუროს სხვა წიგრები, მიუხედავად იმისა,

რომ ჩემთვის არავის არ მიუთითებია ჩემი მუშაობის გამოსწორებაზე.

ბიურომ საყვედური გამომიცხადა. ამან ჩემზე უარყოფითად იმოქმედა, რადგან მე დარწმუნებული ვიყავი, რომ ბრალი არ მიმიძლოდა არაფერში. გავიდა ერთი წელი. გული მაინც არ გაიტიხი. თაიფყე სიარული პოლიტსკოლაში და ამავე დროს ვეწეოდი მუშაობას ქალთა შორის. გაიქცა და კომკავშირული სამხედრო ლაშქრობა. მე მონაწილეობა ვერ მივიღე მასში. ბიუროს სხდომაზე დაისვა საკითხი, თუ რატომ არ წავედი ლაშქრობაზე. მე წამოვაცენე საპატიო მიზეზი, მაგრამ ბიურომ, რომლის შესახებ მე მინდა ქვემოთ ვილაპარაკო, საჭიროდ სცნო ჩემი ბიუროდან გამოყვანა. მე არასდროს არ ჩავარდნილვარ ასეთ მდგომარეობაში და არ ვიცი ვისთვის მიემართა. ბიუროს წევრებად იყვნენ: მოდებაძე — უჯრედის მდივანი, გიულიანი — ავტპროპი, რკაჭინკო — ჯგუფორგანიზატორი. აი, ის სამი პიროვნება, რომელიც ხელმძღვანელობდა უჯრედის მუშაობას. როდესაც რაიმე საკითხი ირჩეოდა ბიუროს სხდომაზე ეს სამემა წინასწარ მოილაპარაკებდა და ბიუროზე შეხმატებილებული გამოდიოდა.

ახლა თქვენ ავიწერთ იმას, თუ რატომ ვატარებ მე „პასივის“ სამარცხვინო სახელწოდებას.

როდესაც უჯრედში პირველად შევედი, მე ყოვალდება მომაქცია უჯრედის მდივანმა; ის ჩემთან კარდამოკიდებულებაში იყო და მუშაობის დროს რჩევა-დარიგებით მეხმარებოდა. ერთხელ მან წინადადება მომცა — წავსულიყავი მასთან სასეირნოთ. მე უარი განვუცხადე. მან ჩემზე უფრო მეტიცვალა შეხედულება. მოდებაძემ გამოცხადა „პასიურ“ წევრად და მეშინადა. ყველაფერი ეს გამოიწვია იმან, რომ მე მას არ მივეცი კონცის და მოხვევის უფლება.

ბოლო ხანებში მეტად გამწვავდა დამოკიდებულება ჩემსა და ბიუროს შორის. ბიურომ გადაწყვიტა ჩემი გარიცხვა კომკავშირიდან.

ერთხელ მე შევნიშნე ჩვენი ავტპროპი გულიანი ბნელ ქუჩაში როსკიბ ქალთან ერთად. მეორე დღეს ამის შესახებ ვუამბე მოდებაძეს, როგორც უჯრედის მდივანს. მან განმიცხადა: „მეტი რაღა დავგრჩენია ჩვენ, როდესაც ჩვენი კომკავშირული ქალები მეშინავენ და შეუფხვლები, — ძალა-უნებურად უნდა წახვიდე როსკიბ ქალებთან“.

ეს ამბავი გაიგო გიულიანი და განიზრახა სამაგიეროს გადახდა. როდესაც ის მარტო შემისწრებდა სადმე, ყოველთვის საკონცენალ მოიწვედა; ხოლო როდესაც ძალადობას ვაუწვევდი და არ მივეცემდი ამის უფლებას, იგაცხარებოდა:

— „შენ, ოლია, არა ხარ ამხანაგი, შენ ნამდვილი მეშინაკა ხარ. რა იქნება იმით, რომ მე შენ გადაგვხვიო და გაკოცო“.

ზაფხულში, როდესაც უჯრედი ექსტრისაზე მიდიოდა, მოდებაძე დადებოდა სტოვებდა თავის უჯრედს; მას უკვე აღარ აინტერესებდა თავის უჯრედი, ის დროს დაკარგვით სთვლიდა თავის უჯრედის კომკავშირულ ქალებთან საუბარს, რადგან ისინი კონცის ნებას არ აძლევდნენ, მას; ამაში მოდებაძე ბრალს მდებდა მე. იმის გამო, რომ მე ვიყავი ავტპროპი კომკავშირულ ქალთა შორის ამ უმსგავსებების წინააღმდეგ; ამიტომ გადასწყვიტეს ჩემი გარიცხვა კომკავშირიდან, როგორც „ნაგვისა“ კომკავშირის ორგანიზაციაში. დიდხანს ეძებეს სამისო მასალა ჩემი კომკავშირიდან გასაძეველად და იპოვეს კიდევ.


ამ რამდენიმე ხნის წინად შედგა ბიუროს სხდომა. „წმინდა სამება“ კვლავ შეხმატებილებულად გამოვიდა ამ სხდომაზე. მთავარ საკითხად იღვა ჩემი კომკავშირიდან გაძევის საკითხი. ჩემს წინააღმდეგ შემდეგ ბრალდებას აყენებდნენ: ვითომ მე

„პასიურ“ მუშაობის დროს ვისვენებდი და სიმულიანტობას ვეწეოდი, რომ მე შედმეტი ბარგი ვარ კომკავშირისათვის. ყველაფერი ეს იმიტომ მოჩმახეს, რომ მე არ დავენებდი ამ ყმაწვილებს და არ შევესარულე როსკიბის მოვალეობა.

მათ ჩემზე სასტიკი იერიში მოიტანეს, აუტანელი შეურაცყოფა მომაყენეს. ვინ იცის, რა არ მიწოდეს: რომ

„ჩუჩინილი დედაკაცი ვარ, რომ წარმოებაში მეძინა — როგორც მთვრალ ადამიანს — კაბა-ახლილი, ჩულქებ ჩავარდნილი, რომ მე ვცხოვრობ ვილაც ხანშესულ კაცთან და სხ. ეს შეურაცყოფა მე უხმოდ გადავიტენე, რადგან ასეთი თავდასხმა ჩემთვის მოულოდნელი იყო.

ყოველგვარ ამან მიიძვლა ვაცყოლოდით ერთ კომკავშირელს იმ მიზნით, რომ შემდეგ მაინც ამხანაგები თავაზიანად მომეპყრობიან მეტქი, როგორც გათხოვილ კომკავშირულ ქალს. მაგრამ აქაც მეორე უბედურებაში ჩავარდი; ჩემი ქმარი, რომელიც მპირდებოდა ყოველგვარ თავისუფლებას კომკავშირში მუშაობისას, ახლა იქ



■ ბავშვა ბაგები ■

ვიანობის ნიადაგზე მიკრძალავს უჯრედში სიარულს და საკავშირო მუშაობაში მონაწილეობის მიღებას.

მე თვითონ დაბალი განათლება მაქვს, წარმოებას ახლახან გავეცანი, კომკავშირში ვირიცხები 1925 წლიდან. ამ ხნის განმავლობაში უკანასკნელ დრომდე არც ერთი საყვედური და შენიშვნა არ მიმიღია. მე მივმართე რედაქციას—გაარჩიოს ყოველივე ზემოთქმული, რომ ისეთ კომკავშირელებს, რომელნიც პირადი ანგარიშების გამო გზას უხშობენ კომკავშირელ ქალს, პასუხი მოეთხოვოს.

მე პირადად ვერ დავრჩები ამ უჯრედში; მინდა სხვა უჯრედში გადასვლა და იქ დავამტკიცებ, რომ მე არა ვარ „ნაგავი“ და „პასივი“ კომკავშირისათვის.

როდესაც დადგა საკითხი კომკავშირიდან ჩემი გადევნების შესახებ, მე უკვე მოთმინებიდან გამოვედი, რადგან თავს ოდნედაც არ ვცნობ დამნაშავედ. მეტი დუმილი არ შემიძლია, ვინაიდან კომკავშირი ჩემთვის ყველაზე ძვირფასია. მე მინდა კომკავშირში დარჩენა და ამიტომ ვთხოვ ამხანაგებს დახმარებას, მათ გამოხმაურებას, მათ ამხანაგურ დამოკიდებულებას. დაძიცავით უსაფუძვლო შეურაცყოფისაგან და დერინისაგან. ალბათ ასეთ ბედს სხვებიც განიცდიან“.

წერილი აქ თავდება. აღნიშნული ფაქტი მეტად დამაფიქრებელია. ასეთი მოვლენები მრავალი გვხვდება ჩვენში მუშაობის პრაქტიკაში.

ოღია ჩიტაძის მდგომარეობაში არა ერთი და ორი კომკავშირელი ქალი ყოფილა და არის ჩაყენებული. ასეთების ჩამდენნი, მოკლედ რომ ვთქვათ, ხულიგნებია, რომლებსაც შეცდომით უდევთ ჯიბეში ლენინური კომკავშირის მანდატი. აქტიურ კ.კ. ქალს, ოღია ჩიტაძეს გზას უბორკავენ ყოველ მხრივ. იგი პასივად და მეშინკად აღიარეს და მონათლეს, რადგან უჯრედის მდივანს, უჯრედის აგიტპროკს და სხვებს არ აკოცნია. უჯრედში შექმნილმა ამ არანორმალურმა პირობებმა აიძულა კ.კ. ოღია ჩიტაძე გაყოლოდა ცოლად კომკავშირელს. მაგრამ რას ვხედავთ? კ.კ. ქმარმა ჩიტაძეს საზღვარი დაუდო და მაგრად გამოუკეტა მას ურდულეობით ოჯახური კარები“ კრებებზე არ ვნახო, კომკავშირი რა ქალის საქმეა! აი, რას პასუხობდა იგი ამხ. ჩიტაძეს. განა ამაზე მეტი დამახინჯება ყოფაცხოვრების საკითხისა შეიძლება? ბოლოს აღნიშნული კომკავშირელება ისეც კი გათამამებულან, რომ უჯრედის წინაშე დაეყენებიათ საკითხი ჩიტაძის კ.კ. გამორიცხვის შესახებ. ასეთ მოვლენების წინააღმდეგ მთავარი გამანადგურებელი ცეცხლი კ.კ. უჯრედმა უნდა მიიტანოს, მაგრამ ეგ ზოგჯერ წინააღმდეგ ხდება უჯრედი დროზე უნდა ჩაერიოს სასეთ არანორმალურ მოვლენებში და მდგომარეობა დროზე ეგამოასწოროს, მაგრამ ჩვენი კომკავშირელები ზოგჯერ ვერ იჩენენ სათანადო სიმასხვილეს და ისინიც გზას უბორკავენ გათხოვილ კომკავშირელ ქალს. ჩვენი დამოკი-

დებულება კ.კ. გათხოვილ ქალისადმი ყოველმხრივ უნდა შევიწყვიტოთ. გათხოვილი კ.კ. ქალი ნაწილობრივ თვალსაზრისით ჩვენთვის იგივე უნდა იყოს, რაც გათხოვებამდე.—ქალი გათხოვების შემდეგ ფართოდ ებმება ოჯახურ საქმიანობაში. ჩვენი პირველი და მთავარი ამოცანა სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ დავეხმაროთ გათხოვილ კ.კ. ქალს, რათა იგი არ მოწყდეს ორგანიზაციას და ისევ აქტიური მონაწილე იყოს საზოგადოებრივი საქმიანობის. ბევრ კ.კ. ქმარს ეს არ ესმის და იგი კ.კ. ცოლს ძველი ბურჟუაზიული ოჯახის სალტეებს და საზღვრებს უდებს. „იყავი სახლში. კრება რა შენი საქმეა. მოუარე ოჯახს, გააკეთე სადილი. გამირეცხე ტანისამოსი, მომიარე კარგად,—აი, შენი საზოგადოებრივი ვალდებულება და საქმიანობა“. ასე პასუხობს ზოგიერთი კ.კ. ქმარი კ.კ. ცოლს, როდესაც ეს უკანასკნელი მას კ.კ. კრებაზე დასწრების ნებართვას მოსთხოვს. ჩვენ გათხოვილი კ.კ. ქალი არ უნდა მოვწყვიტოთ კ.კ. ორგანიზაციის საქმიანობას; ისინი უფრო ფართოდ უნდა ჩავაბათმუშაოთ და დავეხმაროთ ყოველმხრივ, მაგრამ ეგ ასე როდი ხდება. გათხოვდებდა თუ არა რომელიმე კ.კ. ქალი, ჩვენ მას უკვე სივადგარ თვალებით დავუწყებთ ცქერას. ეს კრძველი ბურჟუაზიული ოჯახის მიერ ნაანდერძევი ინსტიქტია, რომელსაც ბოლო უნდა მოელოს.

კ.კ. უჯრედებმა ამ მხრივ განსაკუთრებული მუშაობა უნდა აწარმოონ. მათ სასტიკი ბრძოლა უნდა გამოუცხადონ კ.კ. ქალების შევიწროების ყოველგვარ შემთხვევებს: იმათ დროზე უნდა აღმოფხვრან უარყოფითი დამოკიდებულება კ.კ. ქალისადმი; მათ კ.კ. ქალებს უნდა აღმოუჩინონ ყოველგვარი დახმარება. იმათ კ.კ. ლაგამი უნდა ამოღვან გათავხედებულ კ.კ. ქმრებს, რომლებსაც ცოლები მარტოოდინ ოჯახურ მონად უნდათ გაიზადონ. მაგრამ ზოგჯერ ყოველივე ეს როდი ხდება.

ჩვენი ზოგიერთი კ.კ. უჯრედები ამ მხრივ ძალზე ჩამორჩებიან. ისინი უჯრედებში ვერ უშვებიან ლიკვიდაციის მახინჯ მოვლენებს ყოფის საკითხში. კ.კ. უჯრედები თავის დროზე უნდა ჩაერიონ ისეთ საქმეში, როდესაც კ.კ. ქმაოი ყოიომხრივ უხშობს გზას კ.კ. ცოლს, მაგრამ ისინი ზოგჯერ ვერ იჩენენ სათანადო სიმასხვილეს და ვერ ერევიან საქმეში თავის დროზე. თუ ერევიან, ზოგჯერ, აოხე ცუდად. ასეთი მოვლენები კ.კ. უჯრედების მუშაობაში არაა მასიური, მაგრამ თუ არის, მის წინააღმდეგ ბრძოლა აუცილებლად საჭიროა. საჭიროა, თუ არა ბრძოლა ისეთ და-

დგენილების წინააღმდეგ. როგორცაა დადგენილება გათხოვილ კომკავშირელ ქალის შესახებ გამომუშავებული კ.კ.ს. ახალბედისოფლის (ხონის რაიონი) უჯრედის მიერ. აი, მათ რა დაადგინეს:

ოქმი № 16 (ვიცავთ ოქმის სტილს და წერის მანერას. კ. მ.) 1930 წლის 20 აპრილს ს. ახალბედისოფლში შესდგა ა.ლ.კ.კ. უჯრედის მორიგი კრება. კრებას დაესწრო წევრთა უმთავრესობა.

დღის წესრიგი: 1. ამხანაგებზე მსჯელობა და 2. მიმდინარე საკითხები.

მოისმინეს:

ახალბედისოფლის უჯრედის კრებაზე განაცხადა ამხ. ვერა ძაძამიამ, რომ იგი გათხოვდა და არ ექნება საშუალება სისტემატიურად იაროს კ.კ. უჯრედის კრებებზე, ამიტომ იქონიონ ეს მხედველობაში. ამის შესახებ უჯრედმა იქონია მსჯელობა.

დაადგინეს:

რომ ამხ. ვერა ძაძამია იქნას გარიცხული მექანიკურად ახალბედისოფლის ა.ლ.კ.კ. ორგანიზაციიდან, როგორც გათხოვილი.

კრების თავმჯდომარე (ხელს აწერს).
მდივანი (ხელს აწერს).

დადგენილება მეტად დამაფიქრებელია. ნუთუ ორგანიზაციიდან უნდა გავრიცხოთ კომკავშირელი ქალები იმისათვის, რომ ისინი გაიხივდნენ? ნაცვლად იმისა, რომ უჯრედი დახმარებოდა ამხ. ძაძამიას, რომ ის არ დაკლებოდა უჯრედის კრებებს, ის ორგანიზაციიდან გაოიციხეს. რას ნიშნავს ყოველივე ეს, ან რის შესახებ ლაპარაკობს აღნიშნული დადგენილება? თუ არა იმის შესახებ, რომ ჩვენს ბევრ კომკავშირელ ამხანაგებს მახინჯად ესმით ყოფა-ჩხოვობების საკითხი. მათ არ ესმით ახალი ოჯახის პრობლემა და არც უნდათ გაიგონ. ასეთი მაგალითების დამოწმება მრავლად შეიძლება.

კომკავშირელთა ოჯახში, გარდა ამისა, მრავალ მახინჯ მოვლენებს აქვს ადგილი. ასე, მაგალითად, კომკავშირელი ქალი ა—ა ხ—ი წერს შემდეგ წერილს:


„დამიხსენით, მომეხმარეთ, მე 20 წლის ქალი ვარ. ამ ერთი წლის წინათ მე სიყვარულით წავყვედი №-ს (კომკავშირელია), როდესაც ჩემმა ქმარმა დაიკმაყოფილა უინი, მიმატოვა და მოეწყო ტფილისში აბრეშუმის ქარხანაში. ჩემი 20 წლის სინდისი და პატიოსნება მას ჩავბარე, მან ყველაფერი მიწასთან გაასწორა, გამოთლა. მეყოლა ბავში. სახლში არ მიშვებს, მცემს. ისეთ ოთახში მომათავსა, სადაც კედლები-

დან განუწყვეტლივ წყალი უონავდა. ბავშმა ვერ აიტანა სექტიანი ოთახი და მოკვდა. რა ვქნა. ჩემი ერთადერთი იმედი ხელიდან გამომეცალა. ბავშვის სიკვდილის შემდეგ იძულებული შევიქნე გადავსულიყავი ჩემი ქმრის ოთახში. მას იმ მიზნით, რომ მე ოთახიდან გავესახლებინე, შუა ღამისას მოყავდა ამხანაგები და მართავდა ქეიფს. ერთ საღამოს ოთახიდან რევოლვერით გარედ გამომაგდო. მთელი ღამე სახლის სახურავზე გავატენე. იგი დღეს კომკავშირის რიგებშია და ზეიმობს ჩემზე გამარჯვებას. ასეთების ადგილი კომკავშირის ორგანიზაციაში არაა. დღეს არც დედ-მამა, არც ძმა სახლში არ მიშვებს, რადგან ჩემი ძმას გონია, რომ მას საქვეყნოთ თავი მოვჭერი. სად წავიდე მიჩვენეთ გზა. ა—ა ხ—ლი კომკავშირელი მუშა ქალი 1925 წლიდან“. ასეთ მდგომარეობაში არა ერთი და ორი კ.კ. ქალია. კ.კ. ქმრისაგან მიწამდე გასწორებულმა და გათელილმა ყოველ მხრივ—რა იცის. სად იყო ამ დროს კ.კ. უჯრედი, რომ აღნიშნული მდგომარეობა გამოესწორებინა... ძმაბიჭობით საქმე დაიფარა და კ.კ. ქალი ა—ა ხ—ლი კი დედამისაგან, ძმისაგან, ქმრისაგან დევნილი—დადიოდა ქუჩა-ქუჩა-ქუჩა და ვისაც კი შეხვდებოდა, ყვილას უზიარებდა თავის ოჯახურ ტრაგედიას. კ.კ. ქმარი კი, როგორც ხ—ლი სწერს, ზეიმობს მასზე გამარჯვებას, ზეიმობს მის ზნეცემობას; კომკავშირელი ქალი კი იცრემლება, ტირის და სასოწარკვეთილებაშია. კ.კ. უჯრედმა ამ გარემოებას დროზე ვერ აუღო ალლო, ვერ მოაცილა ორგანიზაციას ასეთი გახრწ

ნილი და გადაგვარებული კომკავშირელი. შეიძლება ასეთ მდგომარეობაში ჩაყენებულმა კ.კ. ქალმა თავი მოიკლას. ჩვენ თვითმკვლელობას არ გავამართლებთ, მაგრამ ასეთ შემთხვევაში კი იმ პირობების წინააღმდეგ ბრძოლა, რომელიც იწვევს თვითმკვლელობას, აუცილებლად საჭიროა.

კ.კ. ქმარმა გაიმარჯვა კ.კ. ცოლზე, გათელა და გაათედურა ის, მიიყვანა ცხოვრების აბსოლუტურ უარყოფამდე. ქალთან ასეთ არა ამხანაგურ დამოკიდებულებების ფაქტები მრავალია. ეს გახლავთ პატრიარქატის პრინციპების თანამედროვე გამოხატულება.

ჩვენი კომკავშირელების ნაწილი კიდევ არ არის სავსებით განთავისუფლებული ბურჟუაზიული ოჯახის ტრადიციების ტყვეობისაგან, მათში ჯერ კიდევ საკმაოდაა ფესვგადგმული ძველი ოჯახის ნაშთები, რომელსაც თან სდევს. იჭვიანობა ცოლის მიმართ, ცემა-ტყეპა და სხვა. ასე, მაგალითად, გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტი“-ს წარსულ წლის ერთ-ერთ ნომერში ერთ მეტად საინტერესო ცნობას ვკითხულობთ: „ერთმა კომკავშირელმა აქტივისტმა ითხოვა კომკავშირელი ქალი. ერთხელ ამ ქალს პიესაში, ცოცხალი გაზეთის შესრულების დროს მოუხდა სხვა ვაჟის კოცნა. ქმარი აღშფოთდა. სახლში დაბრუნებისას ღვედით საშინლად ცემა მან ცოლს, შემდეგ გამოაგდო კარში, თითონვე თავის ჩამოხრჩობა განიზრახა და ძლივს გადაარჩინეს ორთავე. უჯრედმა ეს ქალი გამოაგდო კომკავშირიდან, როგორც გარყვნილი და მავნე ელემენტი“. ეს მეტად



მოსკოვის „დინანონ“ გადასცა საშაერო ავიაციას 4 მოტორიანი ნავი




■ პიონერები ავრცელებენ ლიტერატურას ■

უხეში გამოქვადენება ექვიანობისა, მაგრამ რამდენია სხვა წვრილმანი და შეუმჩნეველი ჩვენთვის. ასეთი მდგომარეობა უხამავს და არე-დარევს ქმნის ჩვენი კომკავშირელების ცხოვრებაში. აღნიშნულ არანორმალურ მოვლენას კ.კ. უჯრედმა თავის დროზე ვერ უქნა ლიკვიდაცია, იგი, პირიქით გაზარდა. სრულიად უდანაშაულო ქალი ორგანიზაციიდან გარიცხეს, როგორც „გარყვნილი და გადაგვარებული“. რაღა შორს წავიდეთ დავემყაროთ უფრო ნაცნობ და ახლობელ ფაქტს, რომელიც ამ ერთი წლის წინეთ მოხდა.

ამბავი ხდება ცხუნკურში (ხონის რაიონი) 1930 წელს. ს. ცხუნკურის გლეხთა ახალგაზრდობის სკოლაში 1928 წ. მასწავლებლად დაინიშნა ძველი კომკავშირელი ქალი ბ-ძე. ბ-ძემ აქტიურად დაიწყო მუშაობა, როგორც სკოლაში, ისე კ.კ. უჯრედში.

ამავე დროს, გლეხთა ახალგაზრდობის სკოლის გამგედ მასსურობდა ტ-ლი. ამ თეთრწვერა „ჭაბუკოსანს“ თვალში დაუჯდა ბ-ძის ქალი. დაიწყო შეტევა. ჩვენი „რაინდი“ დაათრო „სიყვარულმა“ და დაიწყო სამიჯნურო ლექსებისა და წერილების წერა. ხშირად თერებოდა და ქუჩაში მილიდინებდა: „**მხოლოდ შენ ერთს, ამ ქვეყნად განაცვალებ ჩემს სულს, ჩემს გულს**“ და სხვა... „მწელი“ რამაა სიყვარული. ისედაც გაგიჟებულა ტ-ლი, მთლად ჭკუიდან გადაიყვანა ბ-ძის ქალის მოტყუილების წყურვილმა. მაგრამ დახეთ სიმუხთლეს: ქალთან არაფერი გამოდის: ეს „ლოველასი“ ლებულობს მტკიცე უარს მის შეკვეთაზე „ვილაც კომკავშირელისაგან. შერცხვეს ჩემი ვაჟკაცობა, თუ შენ ფასად არ დაგიჯინე ყოველივეო“ დაიკვება ტ-მა და ერთ მშვენიერ (თუ უმშვენიერო კ.მ.) დილას, რო

დესაც სკოლის მასწავლებელში ახალგაზრდა ვინ იყო, გარდა ბ-ძის ქალისა. ტ-ლი იდროვა და გაქანდა ქალისაკენ, მაგრამ ტრფობის ცეცხლით დამწვარ მიჯნურს კოვზი ნაცარი თუვარდება. ბ-ძის ქალმა მორთო კივილი, და სამასწავლებლოს ფანჯრიდან გადახტა. ვნებათა ღელვებით ატორტმანებულის „უმანკო“ „რაინდს“ უმტყუნა „ვაჟკაცობამ“. მაგრამ მის წინაშე ისმება კითხვა: „ვაი თუ ბ-ძემ უჯრედს მიაშველა ამ ამბის გამოსარკვევად? ეს კი ვერაფერი სასიამოვნოა. რომ მოსალოდნელი პროცედურა აიცდინოს. ამიტომ „რაინდი“ ტაქტიკურ გამოსავალს მიმართავს (კომბინაციის ნიჭიერებითა დაჯილდოებული ჩვენი „გმირი“ კ. მ.) მიაშურებს უჯრედის ზოგიერთ წევრებს, რომლებთანაც „ძმა-ბიჭური“ დამოკიდებულება აქვს მას; სამიკიტნო აქვეა. მაშასადამე, თავის დაღწევა „ნუნუათია“ მოსახერხებელი. საკუთარი ამქარი რას არ შეაძლებინებს კომბინატორს. აივარად გეგმიან და თავდაჭერილი, ფრთხილ თავდაცვისათვის ემზადება „ჭაბუკი“ — სიყვარულის ბრძმედში მოხვედრილი. მისი ამქარი ავრცელებს ხმას, რომ ბ-ძე გარყვნილია, გათახსიერებულია და სხვა. არც „აცია არც აცხელა“ და ერთ მშვენიერ დღეს ტ-მა სასწრაფოდ შეჰყარა თავისი ძმაბიჭები, მოაწვევინა კ.კ. უჯრედის ბ-ურო და ბ-ძის ქალი, როგორც „გარყვნილი“, გარიცხეს ორგანიზაციიდან. ბიუროს დადგენილება კ.კ. უჯრედმაც დადასტურა. ამის შემდეგ ტ-მა აცნობა ეს ამბავი ხონის განათლების განყოფილებას. ბ-ძის ქალი მასწავლებლობიდან იქნა მოხსნილი. ზეიმობს გამარჯვებას ტ-შვილი კ.კ. უჯრედის მდივანი ამაყობს იმით, რომ მან ერთი „გარყვნილი“ ქალი მოაცილა ორგანიზაციას. დიდია სადღეგრძელოები. ადღეგრძელეს უჯრედსა და მდივანი, როგორც მტკიცე დამცველი პარტიის გენერალურა ხაზისა. მსურვალე გრძობები, ენარჯვებულის კილოთი, სისპიჯი, კ.კ. და სათნოების პოზით სირყეს ამბობს იუბილარი ტ-ი, რომელიც ასე ასრულებს თავის ალაგ-ალაკ ლირიკულ, მაგრამ „იდეოლოგიურად ასი პროცენტით გამართლებულ რქეს“: „**გისურვებდით კვლავ მტკიცედ მდგარიყოთ პარტიის გენერალურ ხაზის სადარაჯოზე და ბ-ძისთანა გარყვნილი ქალები აღარ დაგენდოთ**“. დაილია სამადლობელი, დაიცალა რევოლვერები, კვარტი კვარტზე გადადის. ადღეგრძელეს ტ-შვილიც, როგორც ძალზე ფხიჭილი კაცი და კ.კ. ორგანიზაციის საუკეთესო დამხმარე. ასე



მიდიოდა დღეები. ბ-ძის ქალი სიმა-
რთლეს ეძებდა. საქმე კ.კ. ხონის რა-
იკომამდე მივიდა. რაიკომის მდივ-
ნის პირადი ხელმძღვანელობით ვა-
მორკვეულ იქნა ტ-ლისა და ბ-ძის
საქმე დაწვრილებით. ბ-ძის ქალს
აღძოაზინდა ტ-ლის აუარებელი წე-
რილები, სადაც იგი ქალს წინადადე-
ბას აძლევდა, რომ წაყოლოდა თო-
რემ გააუბედურებდა. სიმართლემ
გაიმარჯვა. ბ-ძის ქალის მიმართ წა-
ყენებული ბრალდებები ტ-ლის და
ძისი ძმების მიერ შეთხზული
ქორი აღმოჩნდა. რაიკომის ფხიზე-
ლმა ხელმძღვანელობამ შექმნილ
მდგომარეობის ირგვლივ სათანადო
გააზრება გამოიტანა. ბ-ძის ქალი და-
უბრუნდა კ.კ. ორგანიზაციას, ტ-ლმა
და კ.კ. უჯრედის მდივანმა სათანა-
დო პასუხი მიიღეს. ადგილებზე ასე-
თი შემთხვევები მრავალია. ბ-ძის
ქალი „გარყვნილი“ და „გადაგვარე-
ბული“ მხოლოდ მიტომ იყო, რომ
აო დაანებდა ტ-შვილს და კ.კ. უჯ-
რედის მდივანს. ტ-შვილი კ.კ. მას-
წავლებელ ქალის მიმართ ხმარობდა
კოველგვარ საშუალებებს. ასე, მაგა-
ლითად, იგი კვალდაკვალ დასდევ-
და ბ-ძის ქალს და ბლოკნოტში ინი-
შნავდა თუ სად და ვის დაელაპარაკა.
დღისით უმიზნო რბენით დაღლილი
ტ-შვილი ღამით დარაჯებს აგზავნის
მასწავლებელ ბ-ძის ბინაზე, მაგრამ
ყოველგვარმა შრომამ ამაოდ ჩაუარა.
ყვანაფერი გამოიჩვენა. იგი ვე-
რცა ხდა ბ-ძის ქალის მიმართ. გამარჯვება
იხიებოდა არა სიყალბემ, არამედ სიმარ-
თლემ. აქ ჩვენ აღნიშნულ ფაქტზე
შეითხველის ყუოდლება მიტომ შე-
ვაჩერეთ, რომ ასეთი შემთხვევები
არა ერთი და ორი ხდება, ტ-შვილები
ჯერ კიდევ იმყოფებიან ჩვენს რიგე-
ბში, კ.კ. ცხუკურის უჯრედის მოი-
ვნებისა და მსგავსი ხალხისგან უნდა
გავწმინდოთ ჩვენი ორგანიზაცია.

ინტრიგა, ქორი, კინკლაობა, კომ-
კავშირულ ქალის დამკირება ყოველ
მხრივ, — აი, რა აქვთ ყოველდღიურ
საქმიანობად გახდილი ადგილებზე
მომუშავე ზოგიერთ ამხანაგებს. ასე,
მაგალითად, ამ რამოდენიმე ხნის წინ
სამტრედიისი გასამართებულ იქნა
რამოდენიმე კომკავშირელი, რომელ-
თაც ბრალად ედებოდათ მთელი რი-
გი არა კომკავშირული მოქმედებე-
ბისა, როგორცაა დევნა და შევიწრო-
ვება კომკავშირულ ქალისა და სხვა.
ისინი დასდევდნენ კ.კ. ქალს თ-ა ბ-ეს
და ათასგვარ ქორს თხზავდნენ მის
ირგვლივ, ქალს არ აძლევდნენ გასა-
ქანს და ყოველმხრივ ავიწროვებდნენ,
ასეთი საქციელი მხოლოდ ხულიგნუ-
რი მოქმედებაა, რომლის წინააღმდეგ
ჩვენ უნდა ავამოძრაოდ მთელი საზო-
გადოებრივი აზრი.

გარდა ამისა, ჩვენს ზოგიერთ კომ-
კავშირულს ჯერ კიდევ შერჩენია
ძველი რაინდული გამბედაობა და
ისინი „ვაყვაცურად“ იქცევიან ქა-
ლის საკითხში. ძალდატანების ყვე-
ლაზე საზიზღარი და ტელურ ფორმის
ქალის მოტაცება წარმოადგენს. ჩვენ
ვიციტ ძველი განთქმული „რაინდე-
ბი“, რომლებიც სპეციალურად სახე-
ლისათვის იტაცებდნენ ქალებს. ეს
ტენდენციები ჩვენს ზოგიერთ კ.კ. ახა
სიათებს. ასე, მაგალითად, 1928 წელს
სამი ვანელი კომკავშირელი დვა-
ლიშვილების თემში გაემგზავრა ქა-
ლის მოსატაცებლად. როგორც იქნა
შიათენენ „საპატარძლო“ ეზოს კა-
რებს, მაგრამ შესვლას ვერავინ ბე-
დავს; ზოგი უკან იხევს, ზოგი წინ
მიიწევს კარებთან, ჩოჩქოლი ასტყდა.
ჩოჩქოლი არ გამოეპარა ყურადღები-
დან დედა ქალს. თავისი ქალიშვილი
ღამით ააყენა და მეზობლისაგან გაგზავ-
ნა. ჩვენმა „რაინდებმა“ ჯერ მოცი-
ქული გაგზავნეს, მაგრამ როდესაც
არაფერი გამოვიდა, თვით სასიძო
ჩავიდა ეზოში. ეძებენ ქალს. გაშინ-
ჯეს ლოგინი, მაგრამ იქ მურთაქის
უა საბან - ლების გარდა სხვა არაფე-
რი აღმოჩენილა. დაბრუნდნენ „რაინ-
დები“ ვანში პირში ჩალა — გამოვ-
ლებული. ასე უშედეგოდ გადაირეს
ძველი მთანი ტყიანი. ეს ამბავი
არ დარჩა დაუფარავი და აღუნიშნა-
ვი: სამივე „რაინდს“ კ.კ. ორგანიზა-
ცია დატოვებინეს. ასეთ მაგალითე-
ბს მოყვანა აუარებელი შეიძლება.
ჩვენს ხელში ძალზე ბევრი მასა-
ლა არსებობს, მაგრამ ჩვენ ეს რამდე-
ნამე ფაქტი მოვიყვანეთ, როგორც
ტიპიური, დამახასიათებელი ნიმუ-
შები.

ყოველივე ამის შემდეგ, ჩვენს წი-
ნაზე მეტად სერიოზული ამოცანები
დგება, სრულის სიმწვავეთ იჭრება
კომუნისტური ოჯახის შექმნის ამო-
ცანა ამოცანა გათხოვილ და, საერ-
თოდ, კ.კ. ქალთან ამხანაგურ დამო-
კიდებულებისა, ამოცანა ახალი ადა-
მიანის შექმნისა.

კ.კ. უჯრედმა უნდა უზრუნველ-
ყოს ბრძოლა ახალ ყოფა-ცხოვრები-
სათვის, ბრძოლა მავნე და მახინჯ
მოვლენების წინააღმდეგ ყოფა-ცხო-
ვრების საკითხში, რადგან მახინჯ
მოვლენების და გადახრების ლიკვი-
დაციის გარეშე ჩვენ ვერ შევქმნი-
თვით ახალ ოჯახს და ვერც ახალ
აღამიანს.

შემომოყვანილ მაგალითებში
დაახლებული კომკავშირელები ვერ
შექმნიან ახალ ოჯახს და არც შეი-
ძლება იყვნენ ახალი აღამიანები,
ისინი სახელს უტეხენ კომკავშირის
ორგანიზაციას. ჩვენ უნდა შევსძ-
ლოთ ამ მავნე ბურჟუაზიულ ჩვეუ-
ლებების ლიკვიდაცია, უნდა უზრუნ-

ველყვით ბრძოლა ძველი ყოფის
წინააღმდეგ, რადგან ახალი ყოველ-
თვის ძველთან ბრძოლაში იხვეწება
აქ ბრძოლაში პარტიას და კომკავშირს
შერს უნდა დაეხმაროს პროლეტა-
რული ლიტერატურა. პროლეტარუ-
ლა მწერლობამ უნდა შესძლოს
ახალი კლასობრივი ხედვით მავნე
ჩვეულებების გამომხეურება. პრო-
ლეტარულმა მწერლობამ არ უნდა
შესძლოს მარტოოდენ მავნე ყოფითი
გადახრების დაჭერა. კომკავშირის
რიგებში არამედ მათ უნდა გვიჩვენ-
ონ ბრძოლის ის პროცესები, რომ-
ლითაც ჩვენ ვიბრძვით ძველი, მავნე
ჩვეულებების წინააღმდეგ. პროლე-
ტარულმა მწერლობამ კი დღემდე
ეს ვერ შესძლო. მათ ვერ გვიჩვენეს
მხატვრულ ტილოებზე კომკავშირის
ბრძოლა ახალ ოჯახისათვის, ბრძო-
ლა ახალ ოჯახისათვის, ბრძოლა მა-
ხინჯ მოვლენების წინააღმდეგ.

კ.კ. ორგანიზაციის კომუნისტურ
ყოფა-ცხოვრებისათვის ბრძოლაში
აქვს უდიდესი მიღწევები, ეს მიღ-
წევები პროლეტარულ ლიტერატუ-
რაში არაა გამოვლენილი და ნათელ-
ყოფილი პირიქით, კითხულობ ქა-
რთველ პროლეტარულ მწერლებს
ნაწერებს კომკავშირის ირგვლივ, და
ყოველგვარ სიმახინჯეს დაინახავ.

პროლ-მწერლებს უნდა მოეხსენე-
ბოდეთ, რომ კ.კ. ორგანიზაცია უარ-
ყოფით მოვლენათა სამხარეული
არაა.

**მოგვეციტ, კ. კომკავშირელთა
ყოფა-ცხოვრება მხატვრულ ტილოე-
ბზე, მოგვეციტ ბრძოლა ახალ აღამი-
ანისათვის, — ასეთია ჩვენი მოთხო-
ვნა დღეს. პროლ. მწერლებს ყალბად
ესმით ახალი ოჯახის და ახალი აღა-
მიანის საკითხი.**

აქიდან გამომდინარე, როგორც
ჩვენს წინაშე, ისე პროლეტარულ
ლიტერატურის წინაშე, მთელი რი-
გი საპასუხისმგებლო ამოცანებისა
დგას.

კომკავშირმა პირველ რიგში უნდა
იბრძოდოს, პარტიასთან ერთად,
ახალ კომუნისტურ ოჯახისათვის —
ახალ აღამიანისათვის, კომკავშირულ
ქალებისადმი ამხანაგურ დამოკიდე-
ბულებისათვის, ძველი ბურჟუაზი-
ულ ტენდენციების ლიკვიდაციისათ-
ვის და, საერთოდ კი, ახალ ჯანსაღ
კომუნისტური ყოფა-ცხოვრებისათ-
ვის, რადგან „სწორედ ახალგაზრდო-
ბის წინაშე დგას კომუნისტური სა-
ზოგადოების შექმნის ნამდვილი
ამოცანა“ — (ლენინი).

კ. მელაძე



პირველ ხანებში ამ კითხვებზე პასუხი არ იყო. მაგრამ, როდესაც მეტი დუმილი შეუძლებელი გახდა, მათზე ერთბაშად პასუხი გასცა ამერიკის თოთხმეტმა გაზეთმა. გაზეთების შემდეგ ალაპარაკდნენ უნივერსიტეტის კათედრიდან პატივცემული პროფესორები, ეკლესიებში — მღვდლები, სკოლებში — მასწავლებლები და სასკოლო სახელმძღვანელოებშიაც კი ამაზე დაიწერა ცოტა რამ. ყველანი ერთსა და იმავეს ლაპარაკობდნენ.

„პატივცემულო მოქალაქეო! მესლ-შოოლის სადგური სახელმწიფო სადგურია. სადგური მდინარე კოლორადოზე აგრეთვე სახელმწიფოა უნდა იქნეს. მაგრამ, მოქალაქეო, განა შეიძლება ხეირიანი იყოს სახელმწიფო ნაგებობა? ნუთუ სადგურს, რომელიც ეკუთვნის სახელმწიფოს, შეუძლია ისე კარგად იმუშაოს ხალხის სარგებლობისათვის, როგორც ამას შესძლებს სადგური, რომელიც კერძო კაპიტალისტს ეკუთვნის? რასაკვირველია, არა. ცალკეული კაპიტალისტი გაცილებით უკეთ ზრუნავს ხალხის კეთილდღეობაზე, ფერმერებზე და მუშებზე, ვიდრე სახელმწიფო. სწორედ ამიტომ დავხურეთ სახელმწიფო ელსადგური მესლ-შოოლის. ამ რისთვის არ ვაგებთ სახელმწიფო კაშხალს მდინარე ტენესზე და სახელმწიფო სადგურს მდინარე კოლორადოზე. ჩვეი ვზრუნავთ ხალხის ბედნიერებაზე.“

რომ კერძო პირის საკუთრება ყოფილიყო მესლ-შოოლის, რომ სადგურის აგება მდინარე კოლორადოზე ადლო თავის თავზე კაპიტალისტ-

*) გაგრძელება. იხ. ჟურ. „პიონერი“-ს №11—12.



პიონერები ქვიშხეთის ბანაკში

თა კომპანიას, — მაშინ სულ სხვა იყო. ისინი მოაწესრიგებდნენ სამუშაოს ისე, რომ ფერმერებიც, გლეხებიც, მუშებიც და მთლიანად მთელი მხარეც მიიღებდნენ გაცილებით მეტ სარგებლობას, ვინაიდან მხოლოდ კაპიტალისტებს შეუძლიათ მოუტანონ ხალხს ნამდვილი სარგებლობა. სახელმწიფოს კი არ ძალუძს ამის გაკეთება, ამის გამო ან უნდა დაიხუროს სახელმწიფო ელსადგური, ან გადაეცეს კერძო პირს“.

ასე წერდნენ გაზეთები, ლაპარაკობდნენ პროფესორები, ამტკიცებდნენ მღვდლები და მასწავლებლები.

მსმენელები გაუგებრობაში იყვნენ. ეს როგორ? იმათ ხომ ძალიან კარგად ახსოვთ, თუ როგორ გადაღვარეს კაპიტალისტებმა რძე მდინარე ილენოისში და ამით საშუალება მოუხავეს ღარიბებს ეყიდათ თავიანთი ბავშვებისათვის რძე. აი, გუშინ ხომ ერთბაშად ვაძვირდა ხორცი იმის გამო, რომ „პატივცემულმა“ მისტერ სვიფტმა განზრახ დაალო მრავალი ასეული ვაგონი ხორცი! ნუთუ ყოველივე ამას იწოდება ხალხის ბედნიერებაზე ზრუნვა? მხოლოდ და მხოლოდ ასე, და არა სხვაგვარად დაიწყებენ ისინი „მოღვაწეობას“ ხალხის ბედნიერებაზე. მას შემდეგ, რაც ხელში ჩაივდებენ მესლ-შოოლის და სადგურსაც მდ. კოლორადოში.

ჰენსილვანიის ყოფილმა გუბერნატორმა, მისტერ პინჩოტიმ, ივისრა ამ საიდუმლოს გამოცნობა* ცხადია, ის რალაკათი შეურაცხყვეს ბატონმა კაპიტალისტებმა. მან კი გადაწყვიტა გამოეაშკარაებინა მათი „საქმეები“. ის დიდხანს იჩხრიკებოდა საბუთებში, ოქმებში, საბუჯალტრო დავთრებში, და მესლ-შოოლის სიკვდილის საიდუმლოება ახსნა. მან განაცხადა:

— საიდუმლოება მესლ-შოოლის სიკვდილისა მეტად მარტივია. ამერიკის მთელი ვეებერთელა ელექტრომეურნეობა კერძო ელექტროტრესტებს ეკუთვნის. ისინი ამერიკის პატრონებად გრძნობენ თავს. მათ იციან, რომ, თუ არ მათთან, არსად არ შეიძლება ელექტროდენის ყიდვა. ამის გამო ყოველ ფეხის ნაბიჯზე იღებენ 15-ჯერ უფრო მეტს, ვიდრე მათ უღირთ. ყოველ შემთხვევაში, ასე განაცხადა ბერლინის ამერიკელმა ელჩმა მისტერ სეკეტმა, ის კი თავისი ამხანაგების შესახებ სიკრუეს არ იტყვის. და უეცრად ჩნდება სახელმწიფო ელსადგური, თუნდაც იგივე მესლ-შოოლის. ის ჰყიდის დენს გაცილებით უფრო იაფად, ვიდრე მეზობლად მდებარე



პიონერების ფერ კური ვარჯიში

ელსადგურები, ვინაიდან სირცხვილია სახელმწიფო სადგურებმა იმდენივე მოიგონ, რამდენსაც იგებს კერძო მეზობელი. და კერძო ელექტროტრესტები იწყებენ ალელვებას. მათ ესმის: თუ სახელმწიფო სადგური იმუშავებს, მათ მოუხდებათ დენზე ფასების დაწევა. და მათ გადაწყვიტეს:

— აუცილებელია, რათაც გინდა დაჯდეს, მესლ-შოოლის მოსპობა!


იმათ ააშუშავეს დოლარები, მოისყიდეს 14 დიდი გაზეთი. კაპიტალისტი გრაუსტინი ხარჯავს ამ საქმეზე 8 მილიონ დოლარს (16 მილიონ მან.). ყველა ისინი აწყობენ საიდუმლო „ელექტროაგიტაბროსს“. მისი მიზანია — არ მისცეს სახელმწიფოს ელსადგურების აგების საშუალება და ამტკიცებს ყოველგან და ყოველთვის, რომ მხოლოდ კერძო ელსადგურებს შეუძლიათ მოუტანონ ხალხს სარგებლობა.

ამ „აგიტაბროსის“ აგენტები ყველგანაა: უნივერსიტეტში, მთავრობის დაწესებულებებში, სკოლებში, ეკლესიებში და ა.შ. ბევრი მასწავლებელი და მღვდელი არის „აგიტაბროსის“ სამსახურში. ფინანსთა მინისტრი მელონიც კი ემსახურება „აგიტაბროსს“.

„500.000 კუბომეტრი — მოჩხა და გათავდა“

დნებროვნის ტექნიკურმა საბჭომ მოსკოვიდან კიჩკასში, რომელიც მდებარეობს დნებრზე, გამოგზავნა თავისი ბრძნული გადაწყვეტილება:

1930 წლის სააღმშენებლო სეზონში დნებრის აღმშენებლობაში ჩაღებულ უნდა იქნას 305.000 კუბომეტრი ტინობი.



1930 წლის 24 მაისს ნოვოროსიისკის ნავსადგურის მტვირთავებმა მიიღეს წერილი სტალინგრადის სატრაქტორო ქარხნის მუშებისაგან:

ამხანაგო მტვირთავებო!

ტრაქტორმშენის მუშებმა, იციან რა, თუ რა მოუთმენლად ელოდება ტრაქტორს ღარიბ - საშუალოთა მასა, გადაწყვიტეს ძალთა უადრესი დაკომით აამუშაონ ქარხანა ვადაზე ადრე. ჩვენ გადავწყვიტეთ პირველი ტრაქტორი კონვეიერიდან გადმოვიღეს 15 ივნისს.

მოგიწოდებთ დაგვექმაროთ შევასრულოთ ეს ვალდებულება. გთხოვთ მიიღოთ ყოველგვარი ზომა, რათა ყოველივე მოწყობილობას და მასალას ტრაქტორმშენისათვის არცერთი წუთი არ შეაგვიანდეს ნოვოროსისკში. გთხოვთ დაზგების და მანქანების ამოღებების დროს მოექცეთ მათ ფრთხილად და არ დააზიანოთ.

იმავ დღეს, 24 მაისს, წერილი წაიკითხეს მტვირთავთა საერთო კრებაზე. მტვირთავები გამოვიდნენ სიტყვებით. რა ილაპარაკეს — არაა ცნობილი: არავის არ უწარმოებია არც ოქმი და არც სტენოგრაფიული ჩაწერა.

რეიდზე* იდეა გემი: „ბონი ბრუკ“, დალა“ და „ექსპლორერ“ მათ ტრიუმფში*) ელაგა მოწყობილობა ტრაქტორმშენისათვის. მეორე დღეს კი, 25 მაისს, მტვირთავებმა ამ გემთა ჩამოსასვლელებზე თავისებურად უპასუხეს სტალინგრადის მუშების წერილს.

ჰეჰანა, რომელიც იძირება

დოლარებმა გააკეთეს თავიანთი საქმე. მოსყიდულმა მინისტრებმა, სენატორებმა და ჩინოვიელებმა დაუბრკოლებლივ გასცეს განკარგულება მესლ-შოლოსის დაკეტვის შესახებ. მათვე ჩაშალეს კანონის აგება ტენისზე და სადგურის აგება კოლორადოზე.

*) რეიდი — ქარისაგან დაცული ადგილი ნავსადგურში.

*) ტრიუმფი — გემის ქვედა ნაწილი, სადაც მოთავსებულია ტვირთი.

აღმშენებლობის გამგეობამ გააღიდა ეს ციფრი 427.000 კუბიკ. მეტრამდე და გადმოიტანა ეს გადაწყვეტილება მუშათა საწარმოო კონფერენციაზე. და მუშებმა გამოაცხადეს ბრძოლა. მათ პროტესტი განაცხადეს 427 ათასი კუბომეტრის წინააღმდეგ. ისინი მოითხოვდნენ ბრძანების გაუქმებას, ისინი აღშფოთებული იყვნენ აღმშენებლობის გამგეობით, მაგრამ არა იმიტომ, თითქოს ისინი სთვლიდნენ ამ პროგრამას მძიმედ და შეუსრულებლად, პირიქით — ისინი მოითხოვდნენ დავალების გადიდებას. მათ ხმა მისცეს 500.00 კუბომეტრს!

ზოგიერთი ინჟინერი აზინებდა მუშებს:

— ასეთი პროგრამა არ უნახ ქვეყანას. ნუთუ შეიძლება აიღო თავზე ასეთი ვალდებულება!

მათ ყველას მაგიერ პასუხს აძლევს მოხუცი მუშა აგეევი:

— მაგონდება ის დრო, როდესაც პერეკოპთან ვიდექით. მაშინაც იყვნენ ზოგიერთები, რომლებიც შედრკენ. ამხ. ბლიუხერმა შეგვირბა და გვკითხა:

— მაშ როგორ — წინ თუ უკან? მაშინ ჩვენ ყველამ ვუპასუხეთ „წინ“. ახლაც ჩვენ ასე ვუპასუხებთ მათ, ვინც გვაზინებს. ჩვენ სიძნელეებით ვერ შეგვაზინებთ!

მუშებმა მიიღეს შემხვედრი გეგმა — 500.000 კუბომეტრი. კლდეზე შუა გასაშვებთან გამოჩნდა უსწორმასწორო წარწერა:

„500.000 კუბომეტრი — მორჩა და ცათავდა!“

ასე დაიწყო ბრძოლა შემხვედრის შესასრულებლად.

ეს ადვილი საქმე როდი იყო. იძულებული იყვნენ ხშირად უარი ეთქვათ გამოსასვლელ დღეებზე. კომკავშირმა გადაისროლა ათასი საუკეთესო დამკვერელი ბრძოლის გადამწყვეტ უბნებზე. მუშათა ცოლებმა მიატოვეს რიგები და წავიდნენ ქმრებთან სამუშაოდ. მოხუცმა მუშებმა მიივიწყეს დაღლილობა. 4 დეკემბერს კანზასში ჩალაგდა უკანასკნელი კუბომეტრი 500 ათასიდან. შემხვედრი შესრულდა. ლეგიონის მეთაური კუპერი, მშენებლობის ამერიკელი კონსულტანტი (მრჩეველი) ჰგზავნის ალგზნებულ კაბლოგრამას ამერიკიდან. ის ულოცავს მუშებს მსოფლიო რეკორდს.

ის მართალი იყო: დნებრზე დამყარდა მსოფლიო რეკორდი. სექტემბერში დნებრომშენებლებმა ჩაალაგეს 88.500 კუბომეტრი, ოქტომბერში — 11.050 კუბომეტრი და ნოემბერში — 99.500 კუბომეტრი. უკანასკნელი მსოფლიო რეკორდი, რომელიც დამყარდა ჩ.ა.შ.შ. მესლ-შოლოსის ჰიოროელსადგურის აგების დროს, თვეში 65.000 კუბომეტრს უდრიდა.

ასე შეიტანეს მუშებმა შესწორებანი დიდ სპეციალისტთა გეგმაში და ამ შესწორებით დაამარცხეს მსოფლიო ტექნიკის უკანასკნელი მიღწევანი.

მუშათა ამ შესწორებებს ჩვენში შემხვედრი გეგმა ჰქვია.

გამოგონებანი სივრცეში

სულ უფრო შორს და შორის მიდიოდა გუბერნატორი პინჩოტი: მას მოჰყავდა ფაქტები აგრეთვე მასზე, თუ როგორ ფარავენ გამოგონებებს შეერთებულ შტატებში. ამ შემთხვევაშიაც მის ხელთაა ისეთი დამამტკიცებელი საბუთები, რომელთა უარყოფა შეუძლებელია.

ვინ იცის გამოგონებლობის ამბავი; თუ არა ჩ.ა.შ.შ. გამოგონებლობათა საპატენტო ბიუროს ხელმძღვანელმა მისტერ უოლარმა? რასაკვირველია, არავინ, და აი თვითონ უოლარი ამტკიცებს: ჩვენ გვაქვს აურაცხელი გამოგონება. მათ შეუძლიათ აგრძნობლად გააუმჯობესონ და გააიფონ წარმოება. მათ შეუძლიათ მისცენ მხარეს ასეული მილიონი მანეთის ეკონომია. მრავალს მათგანს შეეძლო მთელი რევოლუციის მოხდენა წარმოების ზოგიერთ დარგში. მაგრამ არაფერი ამის მსგავსი არ არის, სრულიადაც არაფერი. ეს იმიტომ ხდება, რომ არავინ ხედავს და არაფერი იცის ამ გამოგონებათა ირგვლივ. ისინი მაგრად არიან ჩაკეტილნი ძლევამოსილი ტრესტების სივრცეში და გამძლე კარადებში.

ტრესტები აშენებდნენ თავიანთ ფაბრიკებს და ქარხნებს ჯერ კიდევ პაშინ, როცა არ იყო ეს გამოგონებანი; მათ დახარჯეს მოწყობილობაზე ასეული მილიონი მანეთი იმ წლებში, როდესაც არავინ არ იცნობდა ამ აღმოჩენებს.

(დასასრული შემდეგ ნომერში)

ამჟამად ახალი გამოგონებანი ამსხვრევენ მათ ფაბრიკებს. ისინი მოითხოვენ მათ ხელახლად მოწყობას ახალი, მეტად გაუმჯობესებული მანქანა - იარაღებით. ისინი აიძულებენ მექანიკებს ყოველ ნაბიჯის გადადგმაზე შესცვალონ წარმოების ხაზითი. ეს გამოგონებანი მოითხოვენ მეპატრონეთაგან ახალ დაბანდებებს, მათ კი ეს არ სურთ. ისინი ძველი მანქანებითაც, წინანდელი მოწყობილობითაც დიდს მოგებას იღებენ, რა საჭიროა ზედმეტი ხარჯი?

მართალია, ამის გამო მათი ქარხნების ნაწარმი გაიფუტება და ხელმისაწვდომი იქნება ღარიბი ხალხისათვის, მაგრამ ტრესტების პატრონთა ამის დარდი არა აქვთ.

მართალია, ეს წინ წასწევს ტექნიკას, ეს ხელს შეუწყობს მეცნიერული ზოგიერთი პრობლემის გადაჭრას, მაგრამ რა საჭმე აქვთ მათ ტექნიკა და მეცნიერებასთან, თუ კი ეს დაკავშირებულია ზედმეტ ხარჯებთან?

მაგრამ, ვინ იცის, შეიძლება მისმა მეზობელმა იყიდოს გამოგონებლისაგან მისი ნააზრევი? ადვილად შესაძლოა მან მოახერხოს ახლად მოწყოს თავისი წარმოება და, ისარგებლოს რა ამ გამოგონებით, გაანადგუროს ისინი? არც ამას დაუშვებენ. და მრეწველობის მეფენი ყიდულობენ გამოგონებას და... კეტავენ მათ კარადში. კეტავენ იმისთვის, რომ მათ არასოდეს არ დაინახონ მზის სხივი.

უნდა გარდავქმნათ პიონერ-რაზმების სახეობა რო. მუშაობა

პიონერ - რაზმებისა და სკოლებში სამხედრო მუშაობა არადაამაჰმაყოფილებლად მიმდინარეობს, ეს აიხსნება მხოლოდ და მხოლოდ იმ გარემოებით, რომ ბავშვები ძველი ფორმებით ატარებენ სამხედრო მუშაობას, ისინი სუსტად იზიარებენ საუკეთესო პიონერ - რაზმებისა და სკოლების სამხედრო მუშაობის პრაქტიკასა და გამოცდილებას.

ბავშვთა მილიონიანი მასის აღსაზრდელად საბჭოთა კავშირის დაცვისა, მუშათა კლასის ინტერესებისა და მსოფლიო ოქტომბრისათვის ყოველგვარ მუშაობას პიონერ - ორგანიზაცია ატარებს და სწორედ ეს უკანასკნელი წარმოადგენს ამ მუშაობის პასუხისმგებელს.

სამხედრო ფიზკულტურული მუშაობა ისე უნდა მოეწყოს, რომ ბავშვებმა გაიგონ ამ მუშაობის ნამდვილი მიზანი და მიზანარსი. ამიტომ სამხედრო ფიზკულტურული მუშაობა უნდა დაუთავაზირდეს პოლიტგანათლებას.

რამოდენიმე დღის შემდეგ სკოლებში დაიწყება სწავლა, ახალგაზრდა ენტუზიასტები დაიწყებენ ბრძოლას ცოდნისა და პოლიტეხნიკურ სკოლებისათვის.

ზამთრის პერიოდში დეტალურად უნდა იქნეს გადასინჯული სასწავლო პროგრამა იმ მიზნით, რომ მასში განსაზღვრული სათები დაეთმოს სამხედრო ფიზკულტურულ სწავლებას სკოლაში. ამ საქმის ინიციატივა უნდა აიღოს მოწაფეთა თვითმართველობამ.

სამხედრო ფიზკულტურული სწავლება მოითხოვს არა წიგნების გახეპარებას, არამედ ცოცხალ პრაქტიკისა და საქმიანობას; ამიტომ ბავშვთა მთელი მუშაობა მიმართული უნდა იქნეს აქეთკენ.

ამ დავალებათა შესრულება, რათაც არ უნდა დაგვიჯდეს — უნდა შევძლოთ.

ახლად შესული მოწაფეების მთელი ასი პროცენტით ჩაბმა პიონერთა და მოწაფეთა ოსოავიაქიმში, აი ჩვენი ძირითადი ამოცანა პიონერთა სამხედრო - ფიზკულტურულ მუშაობის დარგში.

წითელარმიელები მეცადინეობენ





წელს გავითა მილიონები დანიშნავენ სწავლას საბავშვო სკოლებში

რამოდენიმე კვირის შემდეგ დაწყება სკოლებში მეცადინეობა. მშენებლისა და კოლმეურნეთა შვილებით ალტაცებით მოვლიან მეცადინეობის დაწყებას. რა ამოცანებია დასახული ამჟამად ჩვენს წინაშე?

ა. წ. 10 აგვისტოს გაიხსნა სრულიად რუსეთის კონფერენცია საწარმოო სწავლების შესახებ. შარშან აგვისტოში კი მოწვეული იყო პირველი პოლიტექნიკური ყრილობა. პოლიტექნიკისა და სავალდებულო სწავლებისათვის გაძლიერებულ ბრძოლის წელმა უდიდესი შედეგი მოგვცა. პოლიტექნიკისა და სავალდებულო სწავლების ფრონტზე მოპოვებული გამარჯვება — ეს არის არა მარტო ძიწბრძოლა, არამედ ბავშვთა, პირველი რიგში კი პიონერთა უდიდესი გამარჯვება. მაგრამ პოლიტექნიკის ფრონტზე ჩვენ მხოლოდ პირველი ნაბიჯი გადავსდგით. მომავალი სამოსწავლო წელი, რომელიც რამოდენიმე დღის შემდეგ დაიწყება, ყველა პიონერთა და მოსწავლეთაგან გაძლიერებულ მუშაობასა და ბრძოლას მოითხოვს.

წელს სკოლაში ჩაბმული იქნება 16 მილიონზე მეტი ბავში. ამ ახალ თაობას მომზადებული უნდა შეეხვედეთ. ამიტომ ჩვენი პირველი ამოცანაა — სკოლებში დაუყოვნებლივ ჩამოვაყალიბოთ მოწაფეთა თვითმმართველობა.

კლასში დროზედ უნდა გამოვცხადდეთ

თითოეული პიონერი რაზმისა და რგოლის უმთავრესი ამოცანა იმაში გამოიხატება, რომ გარკვეული სის-

ტემით დავიწყოთ სკოლაში მეცადინეობა. ძველ მოწაფეთათვის დროზე გაძიწბრძოლა სკოლაში — პირველი პირობაა. ამიტომ ჩვენი ლოზუნგი იქნება: „არც ერთი გაცდენა! მეცადინეობა დროზე დავიწყოთ!“.

ფაბრიკა ქარხნები ყოველმხრივ ეხმარებიან სკოლებს; წელს კი ეს დახმარება ერთი-ორად უნდა გაიზარდოს, მაგრამ მარტო ფაბრიკა - ქარხნების მონაწილეობა საკმარისი როლია; საჭიროა მოწაფეთა ძირითადი აქტივის მობილიზაცია იმ ამოცანების განსახორციელებლად, რომელსაც ჩვენს წინაშე აყენებს პოლიტექნიკის პერიოდი, ძაძასადამე, ფაბრიკა ქარხნები, მოწაფეთა ძირითადი მასა და პიონერ - ორგანიზაცია, — აი ის სამი ძირითადი აქტივი, რომლებმაც უნდა გააჯანსაღონ ახლად მიღებულ მოწაფეთა შორის სასკოლო მუშაობა.

უნდა ვიცოდეთ სამეცადინეო პროგრამა, მეცადინეობის სიტუაცია და მეთოდი.

თვითუღმა მოწაფემ უნდა იცოდეს სამეცადინეო პროგრამა სწავლების სისტემა და მეთოდი. პროექტის მეთოდი — ძირითადი მეთოდია. უნდა გავაცხოვიოთ მუშაობა იმისათვის, რათა ეს მეთოდი ფართოდ გაიშალოს სასკოლო მეცადინეობის სისტემაში.

პიონერ - რაზმი — სასკოლო თვითმმართველობის ხელმძღვანელი.

სასკოლო თვითმმართველობის მუშაობის საერთო ხილმძქვენილი უნდა იყოს პიონერ-რაზმი. ამიტომ ყველა ის მუშაობა, რომლის ჩატარება განზრახული იქნება სასკოლო თვითმმართველობას, შეთანხმებული უნდა იქნეს პიონერ-რაზმთან.

დასასრულ, უნდა აღვნიშნოთ, რომ ყველა ის ამოცანები, რომელნიც აქვე არიან დასახული, მოითხოვენ დაუყოვნებლივ გადაჭრას. ამ მიზნით საჭიროა მოსწავლეთა მასის მობილიზაცია, რათა პიონერ რაზმების უშუალო ხელმძღვანელობით წარმატებით გადაიჭრათ დასახული ამოცანები.

ახვია.

მისაზამი გაგალითი

ქალაქად ყოფნისას — უფრო ძნელია პრაქტიკულად სასოფლო-სამეურნეო პოლიტექნიკური ცოდნის გამოყენება, ვიდრე სოფლად.

მოსკოვის II საფეხური მე-70 სკოლის 450 მოსწავლე, პედ. პერსონალთან ერთად მუშაობს მოსკოვში ვორბოვის მთებთან პალიხის ბალ-ბოსტნებში: ამ II საფეხურის სკოლიდან 130 კაცი მოხალისენი მუშაობენ აგრობო სადგურში. სკოლის აქტივი, პედაგოგებთან ერთად, აწარმოებს ილიჩის სახელობის კოლმეურნეობაში კულტურულ-პოლიტიკურ მუშაობას, ხოლო I საფეხურის სკოლის პედაგოგები ჩრდ. კავკასიაში ადიგესისკის ოლქში ეხმარებიან ფაბრიკა „დუკადის“ სოიუზენი“-ს სამეფო კოლმეურნეობას პოლიტექნიკის გატარების საქმეში.

სკოლამ დაისახა ამოცანად — ასწავლოს ბავშვებს, გაკვეთილებზე მიღებული ცოდნის პრაქტიკულად გამოყენება, რისთვისაც აუცილებლობა შეიქმნა მუშაობის, პროგრამასთან დაკავშირება აგრობო სადგურში ასე ტარდება: მე-5 ჯგ. სწავლობს მცენარეთა ბუნების მეტყველებას რა ამიტომ მეტალობის და მეტოსტენობის შემსწავლელი ბრიგადას შეადგენდა მე-5 ბრიგადა — ისინი მუშაობენ სოორთქლძავლო, კვლების დახვნა - გაყვანაზე და ეცნობოდენ დათესვის და მცენარის მოვლის ტექნიკას. მექათმეობის და მეკურდღლეობის შემსწავლელ ბრიგადაში შედიან მე-6 ჯგუფი, რადგან ისინი ბუნების-მეტყველების დარგიდან სწავლობენ ცხოველებს.

მექათმეობის და მეკურდღლეობის შემსწავლელი ბრიგადა მუშაობს ინკუბატორებზე და უფლიან ახლად გამოჩეკილ წიწილებს და ავადმყოფ ბავშვებს. ბუნების მეტყველების გაკვეთილებზე კეთდება მოხსენებები კურდღლებსა და ფრინველების შესახებ რაც არა მარტო იცნ თეორიული



სოფ. ზემო-ქედის კომუნის საფუტკრე


პარტიო განისაზღვრება, არამედ იგი პრაქტიკულ მასალებზე შენდება.

დაკლავას ვალოზაზე ყველაზე ძნელი სამუშაო ეცისრება მე-7 ჯგუფს—რეოლიუციონური მეცნიერებას ბრიგადას. ეს მუშაობა მკიდროთა დაკავშირებული პოლიტიკურ მიჯნეობასთან. ბრიგადას პრაქტიკული მუშაობის და გადადების საწარმოებლად გამოყოფილი აქვს მიწის საჩვენებელი ნაკვეთები: ერთ ნაკვეთს მიწა მუშავდება ხელით სახმარ თხე რელოგიის წესების და მიხედვით სწარმოებს მუშაობა (დახენა, დათესვა იწყება რელოგიური დღესასწაულების შესაბამისად; არ სწარმოებს მიწის განოციერება, თესლი უგეგმოთ ითესება და მიწა მუშავდება ხელით სახმარ ხელსაწყოებით — ინსტრუმენტებით); ხოლო მეორე ნაკვეთზე მეცნიერული ძეთოდით: სწარმოებს მუშაობა. სელექცია განოციერება, გემინიანი თესვა, მოწამვლა და სხვა.

ხელშეკრულებაში გათვალისწინებულ მოვალეობის შესასრულებლად, რომელიც დადებულია სკოლასა და პარიზის კომუნის სახელობის ბაღების მუშებს შორის. მუშაობაში დღიურად ჩაბმულია 30-40 კაცისაგან შემდგარი, ჯგუფი — ანდაგოების ხელმძღვანელობით. ისინი მუშაობენ დღეში 3 საათს და ახდენენ სათისო მარცვლეულობის ანალიზს, მეურნეობისათვის გამოსადიგ მარცვლეულობის გადაარჩევის მიზნით. სისტემატიურად ბავშვებთან ერთად, კოლმეორეობაში და ბაღში მუშაობს მეორე მასწავლებელი, რომლის ამოცანას შეადგენს სასოფლო - სამეურნეო მუშაობის თავის საგანთან დაკავშირება.

მათემატიკის მასწავლებლის ჩამოკანელობით ბავშვები ზომავენ მიწის ფართობებს, საზოგადოებათ მეცნიერების მასწავლებელთან ატარებენ საუბრებს სოფლის მეურნეობის მნიშვნელობაზე, სოციალისტურ მშენებლობაში. ამდაგარად, ბავშვები სწავლობენ სოფლის მეურნეობას მეცნიერულად, პრაქტიკულად სამეურნეო და პოლიტიკური თვალსაზრისით. ბავშვებს აქ უყორებენ როგორც მუშორ ძალას: მათი შრომა ფასდება მით უმეტეს, რომ ისინი ატარებენ კულტმუშაობასაც ბაღბოსტნის მეურნეობის მუშებს შორის. მოსაწავლეებისაგან მოწყობილია მოძრავი წიგნსაცავი, სანიტარული ბრაგადა, რომელიც თვალყურს ადევნებს სანიტარულ მინიმუმის შესრულებას; სადილობის დასაცვენებელ დროს კი ბავშვები ატარებენ საუბრებს მუშებთან.

კომსკონდენტი.



პიონერები დემონსტრაციაზე

პურის რაიონების პიონერები ისმინათ ვლახარაპოვით თქვენს სასურადლებოთ

მეგობრებო, უკვე კარგა ხანია საქართველოში დაიწყო პურის დამზადება. პურის დამზადებას უდიდესი სამეურნეო პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს. დამზადების კამპანიის ბოლშევიკურად ჩატარება ხელს შეუწყობს ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციას. პიონერ ორგანიზაციების მოვალეობაა ყოველმხრივ ხელი შეუწყონ და აქტიური მონაწილეობა მიიღონ პურის დამზადების კამპანიაში. მაგრამ, სამწუხაროდ, უნდა დაინიშნოს, რომ პიონერები სათანადო აქტივობას ვერ იჩენენ პურის დამზადების საქმეში. მოსავლის აკრეფა

უნდა დაუკავშირდეს პურის დამზადებას. მაგრამ მთელ რიგ რაიონებში ეს ასე არ ხდება. არის რაიონები რომლებიც ჩამორჩენ მოსავლის აკრეფასა და პურის დამზადებაში. საქართველოს ზოგიერთ მინდვრებზე ათასობით თავთავები ყრია უბატრონოდ ზოგჯერ მომკილი პური არ არის დაზვინული. ამავე დროს კი პიონერ - ორგანიზაციები არავითარ ზომებს არ ღებულობენ.

პარტიის დირექტორი — „არ დაიკარგოს არც ერთი ჰექტარი. პური“, ყოველ პიონერს ავალებს დაცვას პური-განადგურებისაგან. ამ

ამ მიზნით უნდა მოეწყოს პიონერთა მორიგეობა პურის ზვინებთან; პიონერებმა უნდა ჩაატარონ შაბათობები პურის თავთავების ასაკრეფად და ფართოდ გაშალონ გლეხობაში მასიურ პოლიტიკური მუშაობა. სიღნაღის რაიონში გაუფრთხილებლობით დაიწვა პური. გამოირკვა, რომ აქ მანქანები გაუპიროვნებულნი და სახანძრო რაზმით მოუწყობილი პიონერი გვატყობინებს, ნუკრიანში ცეცხლი მოკიდებია თივას, მაგრამ სახანძრო რაზმის მოსვლამდე თივა დამწვარა. სიღნაღის რაიონის პიონერ ორგანიზაციას, რომ დროზე აეტეხა განგაში მოეწყო კალოებზე "თავდასხმა" და გამოემუდგინებია მოსავლის აკრეფის ღებულებები, ხანძრის შემთხვევები საგრძობლად შემცირდებოდა. პურის რაიონების ყველა პიონერ ორგანიზაციებმა დაუყოვნებლივ უნდა გარდაქმნან თავიანთი მუშაობა, უნდა მოეწყოს პიონერთა ბრიგადები, რომლებიც მიეხმარებიან კოლმეურნეობებს ღარიბ და საშუალო გლეხებს კალოებზე პურის გალევვაში, უნდა მოეწყოს შაბათობები პურის თავთავების ასაკრეფად და სხ. პიონერებმა ინიციატივა უნდა აიღონ წითელი ქარავნების მოსაწყობად. ადგილებიდან მოსული ცნობები მოწმობენ, რომ რაიონებში პურის დამზადება არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს, ამ საქმეში პიონერ - ორგანიზაციებსაც ეკისრებათ პასუხისმგებლობა. პიონერ ორგანიზაციებმა დაუყოვნებლივ უნდა იზრუნონ პირი პურის ფრონტისაკენ.

პიონერული წითელი ქარავნები პიონერული ენტუზიაზმით უნდა წამოვიდეს სოფლიდან რაიონში კოლმეურნეობიდან მიმღებ პუნქტებში.

ეხლავე საჭიროა პიონერებმა შეამოწმონ მიმღები პუნქტების მუშაობა „მსუბუქმა კავალერიებმა“ უნდა გაჰოპოიანონ — რა უშლის ხელს დამზადებას და ეს საკითხები დასწავან სათანადო ორგანიზაციებში. პურის დამზადების საკითხებით უნდა დაინტერესდნენ აგრეთვე ბანაკად მყოფი პიონერები და იზრძოლონ დამზადების გეგმების შესრულებისათვის.

პიონერებმა უნდა გამოამყლავნონ კულაკები და შეძლებულები, რომლებიც არ ასრულებენ მტკიცე დავალებას სახელმწიფოსათვის პუ-

რის ჩაბარების შესახებ. დაუნდობელი ბრძოლა უნდა გამოვცხადოთ მომემარჯვენე — „მომეძინებენ“ — ოპორტუნისტებს — კულაკებს დამქაშებს. პურის დამზადების საქმეში ერთის წუთითაც არ უნდა შევანელოთ ორ ფრონტზე ბრძოლა. მხოლოდ ამ პირობებში იქნება პიონერ-ორგანიზაციების მუშაობა სამაგალითო. მხოლოდ ის პიონერ-ორგანიზაცია ჩადგება პურის დამზადების მოწინავე რიგებში, რომელიც მტკიცედ დაიცავს პარტიის გენერალურ ხაზს და პრაქტიკულ მონაწილეობას მიიღებს პურის დამზადებაში.

მაშ ყველა პიონერი პურის ფრონტზე. პურის დამზადება ამხანაგებო, საბრძოლო ამოცანად დავისახოთ!

გველესიანი — ჯავახიშვილი.

როგორ ცხოვროვენ ჩვენი მეზობრები საზღვარგარეთ

ზურყუაზიულომა პრესამ დაიწყო ახალი კამპანიები საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, მათ სასტიკი იერიში მოაქვთ ჩვენზე, რასაც ასაბუთებენ იმით, თითქოს საბჭოთა კავშირი იძულებით ამუშავებდეს ქარაქლოვან ბავშვებს და დაუზოგავად ყვლეფავდეს მათ. ეს, რა ოქა უნდა, აშკარა პროვოკაციაა, პორიგი ანტისაბჭოთა კამპანია, რომელიც მიმართულია ახალგაზრდათა მე-17 საერთაშორისო დღის ჩაშლისაკენ.

ჩვენს სკოლებში და პიონერ რაზმებში საკმაოდ შეიქრა ბავშთა კოქტუნიტური აღზრდის სხივები. დღეს ყოველმა პიონერმა და მოსწავლემ იცის, რომ მთელს ქვეყანაზე არსებობს მხოლოდ ერთად ერთი მუშურ-გლეხური სახელმწიფო საბჭოთა კავშირი, რომლის წინააღმდეგ მტრულად არიან განწყობილი კაპიტალისტური ქვეყნები. ამიტომ ჩვენ ოდნავად არ გვეპარება ეჭვი იმაში, რომ, როგორც კი გაიგონებენ მოწაფეები და პიონერები ასეთ აშკარა ცილისწამებას, ისინი ათანადო პასუხსაც გასცემენ მათ ანტისაბჭოთა პროვოკაციას.

მათდა საუბედუროდ, ბავშთა ექპლოატაცია, გაყვლეფა და წაგლეჯა. კაპიტალიზმის თანდაყოლილი უვისებაა; აბა გადავხედოთ კაპიტალისტურ სახელმწიფოებს, ავილოთ, თუ გნებავთ, გერმანია გავიცნოთ, თუ როგორ პირობებში უხდებათ იქ მუშის შვილებს ცხოვრება, და

მაშინ ჩვენთვის ყველაფერი ნათელი იქნება.

გერმანიის ფაბრიკა-ქარხნებში და კუსტარულ სახელოსნოებში ამუშავებენ 9-დან 14 წლის. მათი რიცხვი 2 მილიონამდე აღწევს. ბავშვებს შეტარ ცუდ და აუტანელ პირობებში უხდებათ მუშაობა. ისინი 10 საათამდე მუშაობენ დღეში

პურის საცხოვრებში 15 წლის ბავშვებს ღამის 2 საათიდან 8-9 საათამდე ამუშავებენ. ან კიდევ: 14-15 წლის ქალიშვილებს ამუშავებენ განუწყვეტლივ ქვისმთლელ ფაბრიკებში. ასეთია კაპიტალისტურ ქვეყნებში ბავშთა ცხოვრების სურათი. ეს არის მხოლოდ ერთი მონენტი. ასეთი მაგალითების მოყვანა დაუსრულებრივ შეიძლება. ყველაფერი ეს იმას ამტკიცებს, რომ ბავშვებს ყვლეფენ არა საბჭოთა კავშირში, არამედ იქ. კაპიტალისტურ ქვეყნებში. ეს ყველა ჩვენთაგანმა იცის. ბავშვები აუტანელ პირობებში ცხოვრობენ. ისინი განუსაზღვრელ საათებში მუშაობენ, მათ შრომას კი კაპიტალისტები იყენებენ. ანდა ვსაგებია, რომ ღაპარაკი განათლების, სკოლებისა და სწავლების შესახებ კაპიტალისტურ ქვეყნებში, კაპიტალისტების აზრით, „ზედმეტი საქმეა“.

სანამ არსებობენ კაპიტალისტური ქვეყნები, არსად, არც ერთ ხელმწიფოში არ შეიძლება ბავშთათვის ისეთი თავისუფალი ცხოვრება იყოს, როგორც საბჭოთა კავშირში.



პიონერების სამხ. მეცადინეობა

თავი მეცხრე

— დღეს კარგი დღეა — ლაპარაკობს მწე გერმლი, მაღალი, მოხრილი მამაკაცი.

— საჭიროა უკანასკნელი საზამთროების სადგურზე გადაზიდვა, კოპერატივში ჩაბარება.

— შენა გგონია ბევრი საზამთრო დარჩა გასასყიდი სულ — ცოტა, ორსამი ურემი, — უპასუხებს მას ხაინიკი.

— მაღალი ახალგაზრდა, რომელსაც განიერი თეთრი ქუდი აქვს.

— სულ ერთია უნდა გადიზიდოს სადგურზე.

— ჰო, საჭიროა, საჭიროა, — შლის ხელებს ხაინიკი.

— როდის უნდა წავიდეთ. ვინ უნდა წავიდეს. საჭიროა წისქვილში წასვლა ჩალასაც მიხედვა უნდა, სახლიც ზამთროსთვის უნდა მოვამზადოთ. საქმეები ყელამდეა. აკი ორი ურემი საზამთროსთვის ეწვალე.

გელში იხედება ირგვლივ, თითქოს თვალებით დაეძებს, თუ ვინ უნდა გავზავნოს და ხედავს ქასთან როზას ისაკასთან ერთად.

— ისინი წყალს ასმევენ თხებს. ხაინიკი იჭერს გერმლის გამოხედავს და ლაპარაკობს:

იკი რა. გავზავნე ბავშვა კომუნის დან მოზრდილი ბავშვები. აქ არაფერი საამისო არ არის. მოახერხებენ.

გერმლი წყნარად უსმენს, თანაც თავისით რაღაცას ფიქრობს.

კარგი, — ლაპარაკობს ის დაბოლოს, — დეე, წავიდენ. ბავშვა კომუნაში ყივის — ირგვლივ ყველანი. მხიარულობაა, როზა ცუკვასე, აბრახუნებს ქუსლებით. აიზიკი შეწყობით, ტაშს ცემს. სენდლერი აცოცდა სკივრზე და მამალივით იცინიან.

— მაგრამ — მაინც ვინ მიდის? — კითხულობს ისაკა და იქვე თვითონ უპასუხებს: — რასაკვირველია, მოზრდილი ბავშვები, პატრონებს აქ საქმე არ აქვთ. — ის ასახელებს:

როზა, ლელე, აიზიკო, სენდლერი, გოლგა და რასაკვირველია, მეც.

— რასაკვირველია, რასაკვირველია, — აჯავრებს ნებაშეკა და მიდის

მასთან: — როგორ ფიქრობ, მე და დავითი პატარები ვართ. ახალი პატარები გაჩნდნენ, — ლაპარაკობს იგი მთლად აწითლებული.

მაგრამ ისაკა არც ფიქრობს ედავოს, ის უცქერის, — თან ეცინება ნებაშეკაზე:

— დახე, გაცეცხლდა თვით ხანძარი. წადით... ვინ ვიქერთ. ვფიქრობდი, რომ თქვენ საზამთროებით არასდროს ერთად არ გიმგზავრიათ.

მაგრამ ნებაშეკა უპასუხით განა დარჩება.

— თუ არ გვიმგზავრია ჩვენს დღეში არ უნდა ვიმგზავროთ.

ამ დროს ოთახში შემოვარდება გოლდა. ტრუსიკებით რგვლად შემოკრეკილი თავი იგი ნაკლებად განიჩხევა ვაჟისაგან.

— წყნარად. წყნარად. ნოხიმი უკვე აბამა ხარებს. წადით, დაუდეთ საზამთროები. ჰოი, მივემგზავრებით, მივემგზავრებით. — უკრავს იგი ჯაშს.

აქლა მიიზღაზნებიან ხარები გზახე. ნაზიჯს ნაბიჯზე მძიმედ ადგაჟნ. ჩაი უღლებში რკინის ტაბიკები რახუნობს. წყნარად მოძრაობენ საზამთროები.

წინა ურემზე ზის ლელე წითელ ტანსაცმელში და თეთრი თავსაფრით თავზე.

— გასწი. გასწი. — ერეკება იგი ხარება.

— ლელე... — ეძახის უკანიდან ისაკა, — საბჭოთა მეურნეობის ბარათი შენთანაა.

— ჩემთანაა, — თავის ოდნავ შეიბრუნებით უპასუხებს ლელე.

პატარა, ჩასუქებული სენდლერი მარდათ ჩამოხტა ურმიდან და მიდის ხარებით გვერდით. ვაჟის თავი ძლივს უსწორდება ხარის თავს.

— აიზიკ, — აიხედავს რა მაღლა, ლაპარაკობს იგი, — ჩვენ, როგორც ნამდვილმა კომუნარებმა დაკვირვით ჩვენს ბალბოსტნებში საზამთროები და მიგვაქვს ჩასაბარებლად კოპერატივში; მართალია?!

— ჰო, მართალია, — ურმიდან რახრილი უპასუხებს აიზიტი. — რით არა ვართ კომუნარები, არ ვმუშაობთ თუ რა.

— თქვენ იცით ჩვენს კომუნას ამჟამად ძალიან ცოტა ფული აქვს, ლაპარაკობს დაფიქრებული სახიროზა. იგი მოეწყო ურმის კოფოზე და ქავლზე დაყრდნობილი დგას. როზა იშვიათად არის ასეთი სერიოზული.

— საიდან იცი შენ? — გაიგონარა, მეორე ურმიდან უყვირის გოლდა.

— გავიგონე, უფროსები გუშინ სალამოს ლაპარაკობდენ.

როზა, დახარა რა თავი, ჰგლეჯს საზამთროს მსხვილ კუნწს.

— ჩვენ ხომ ახლა ვიწყებთ პურის ჩაბარებას. გაცივით მატყლს, ლორებს, აქედან ხომ ბევრი ფული შემოგვიყა...

— ჩენი ყველი?... ის ხომ ახლა ყველგან გადის.

— ხარჯები. — წამოდგა აიზიკი. — რამდენი დაგვიჯდა მარტო ერთი ფურნე, ახალი ტრაქტორი, სხვა მანქანებიც. ოჰ, ჩააქნიეს იგი ხელს.

როზა განაგრძობს:

— ჩვენ ყველანი სკოლაში უნდა გავგზავნიონ. სწავლისათვის ფული უნდა გადახადონ. ბევრს ჯერ კიდევ გასულ წელს დაეხა ფენსაცმელები. პალტოებიც საჭიროა.

— ნებაშეკას და დავითს ფენსაცმელები სრულიადაც არა აქვთ, არც ზედა ტანსაცმელი.

— აი, ხედავთ, სკოლაში წასვლა კი ყველას უნდა. ბავშვები გაჩუმდენისმის მხოლოდ, თუ როგორ მიჭრილებენ ურმები.



ბაიზი 991

დამკვეთი პიონერები

1) ამოღებულია ლინა ნეიმანის წიგნიდან: „ებრაელი კომუნის ბავშვები“.



გზა მარჯვედ უხვევს განზე და ურმები შეიდან პატარა რუსულ სოფელ კომიტოვკაში. მთავარ ქუჩაზე სიცალიერეა. არავენ არა ჩანს. უეცრივ გამოვარდა ქერა ბავშვების ჯგუფი ყვირილით და სტვენით. მიპქროდენ ისინი პირდაპირ ურმის დასახვედრად. როდესაც ურემი გაუსწორდა მათ, ბავშვები სწრაფად შედგენ და დაიყვირეს:

— ყობოები, ყობოები მოვიდენ! რეელემ თითქოს გაიღვიძა. ის შეკრთა გაწითლდა. უნებლიედ შეაჩეოა ხარები:

— დადექ... დაიძი... ჩერდებიან დანარჩენი ურმებიც. ისაკა ჩამოხტა ურმიდან, მოიქნია თავისი გრძელი შოლტი და დაერია ბავშვებს.

რუსის ბავშვები სახლს მოეფარენ. — ლეელე, შენ რად დადექი და ყველანი დაიძი? — ეკითხება ისაკა. მათ რად დაქცევ ყურადღებას. რუტუცებია და მტერ არაფერი.

მაგრამ კლიმენტოველი ბავშვები კვლავ გამოჩნდნენ სოფლის ბოლოს. ყველაზე წინ გამოჩნდა ბავში. გრძელთმიანი ბავში.

— ჰე-ე-ე ჩვენ კიდევ შეხვდებით, გველოდეთ სადღურზე. ზრბოს გამოიყო ქერა, კორფლიანი ბავში, რომელსაც ვარდისფერი

პერანგი ეცვა. მან ახლოს მიიბრინა ურმებთან და დაიღრიალა:

— ყობოია ურია, ყობოია ურია, ყობოია ურია. ნებსამკას აენთო თვალები.

— აქი არ ვფიქრობდი, — გაჯავრებით აიწია რა მხრები, სთქვა მან: ჩვენთან გოლოვცაში ნამდვილადაც ასე ხდება. აქ კი ირგვლივ კომუნები, კოლმეურნეობებია, რისთვის უნდა ხდებოდეს ასე...

— არაფერი ისეთი არ ხდება, — აწყვეტირებს მას პატარა სენდლერი, რომელიც თავს მალლა სწევს: ესენი ჯერ კიდევ შეუგნებელი ბავშვები არიან. შინ ესმისთ „ყობოები, ყობოები“. ისინი, რომ პიონერები იყვენ ნუთუ ასე მოიქცეოდენ? არასოდეს. და მან ყველას გადახედა გულკეთილი ღიმილით. — საჭიროა ყველა ბავში პიონერი იყოს, — ამოიხრა ლილემ.

ხარები ზღაპრით მიდიოდნენ, ბავშვებიც არ ჩქარობდნენ, და დაბოლოს, როდესაც ისინი კოლოპერატივამდე მივიდნენ, კარებზე დიდი კლიტე იყო.

— დადექით... ლეელე ჩამოხტა ურმიდან, — სადილობის გამოა დაკეტილი.

ბავშვები ჩამოხტნენ ურმებიდან და დასხდნენ ჩრდილოში. სახლის კუთხის უკან მზის სხივები გადარბოდნენ გზაზე, ევლებოდნენ თვალებს, მიცოცავდნენ საზამთროებზე და ხარების დახრილ თავებზე.

როგორიღაც განსაკუთრებული სიწყნარე იყო.

— მე ძილი მინდა. ღავიძინებ, თქვენ კი შემდეგ გამაღვიძებთ, — განმორებით სთქვა გოლდამ.

— არ გაბედო დაუყვირა როზამ, — რა დროს ძილია საზამთროებს უნდა უდარაჯოთ. გოლდამ გადაიხარხარა:

— დარაჯობა?! აქ ხომ არავენ არ არის. ესეც რომ არ იყოს, განა ცოტა ხართ აქ დარაჯები. — და გოლდა უჩვენებს თითოთ ბავშვებზე: — შენ, შენ, შენ...

მაგრამ უეცრად შეჩერდა აწყული თითოთ და ყურადღება მიაპყროსმენად გადიქვენ დანარჩენი ბავშვებიც. თითქოს რაღაც მიგორავს, იმტვრევა...

ისინი წამოვარდნენ, გარბიან კუთხის იქით, სადაც ურმები დგას.

— უი. ეს რა ამბაია. — გველის ნაკბენივით იწვილა როზამ.

— ხულოვნები, ხულოვნები. არა თავისი ხმით დაიყვირა ისაკამ.

2. გოლოვცა — ქალაქია, საიდანაც ნაწილი ებრაელთა გადმოსახლდა და მოაწყო კომუნა კრიმის ნახევარ კუნძულის ერთ-ერთ ადგილას — მთარგმნელი.

— დრახ...

წინა ურემი გადაბრუნდა საზამთროები ხეთკვით ეცემს. წინა კლიმენტოველი ქერა ბავშვები და მათთან ერთად ვილაც მოხარდები, ისინიც უქუდონი, ფეხშიშველები, დარბიან საზამთროებს შუა კივილი ხარხარი:

— ყობოები, ყობოების საზამთროები.

ჰკა მავათ, ჰკა—მავათ. ბავშვები ჰაერში ერთი მეორეს ესვრიან საზამთროებს, აგროვენ ფეხებით.

ქერა ვაჟი ვარდისფერ პერანგა. საზამთროებს მიწაზე ავდებდა.

ყველაზე მალლა, თითქოს მეთათური. ხტოდა გრძელთმიანი ვაჟი. თითქმის ყველა საზამთრო დასკდა და მათი წითელი ნახევრები ტალახში ეყარა.

აიზიკა გონს მოვიდა. გაწითლებული, გაშმაგებული, ანთებული თვალებით შევარდა ხულიგანთა ბრბოში:

— წადით წაეთრიეთ აქედან. წადით.

მოსაშველებლად მოიბრინა ისაკამ. მისი მოხრილი ზურგი გასწორდა.

გაისმა გაწული სილის ლაწანი. ლეელემ სრულიად გაფითრებულმა, დაკუმშული ტუჩებით გამოჩანებით გაართყა ვილაცას.

სენდლერი მოუხდენლად მოეხვია ვილაც ვაჟს და სცადა მიწაზე დაენარცხებია, ერთი წუთი კიდევ და სენდლერი წაქცეული იქნება. მაგრამ მას გოლდა წამოეშველა. მის შეკრეჭილ თავს ბევრი მოხვდა.

— ჩვენ სასოფლო საბჭოში განეცხადებთ, — ამის თითქოს მიწის ქვემოდან, დახშული ხმა აიზიკისა.

— ჩვენ ამას ასე არ დავტოვებთ, მაგ დღეს დაგაყენებთ იწვილა როზამ.

მაგრამ ებრაელ ბავშვებს ცუდად მიუღოთ საქმე. დაფლეთილი, დავლეჯილი როზა როგორღაც წელში მოხრილი გამოძვრა ბრბოდან, შურდულივით გარბის სკოლის მიმართულებით და ინთქება ბქის-კარში. მაგრამ აი ხელახლად გამოჩნდება მისი ზოლიანი ლურჯი ტანისამოსი. იგი დაჩქარებით გამოჩნის უკან. მას მოსდევნენ პიონერები, რომლებიც სასწრაფოდ ხტებიან ლობეზე.

გოლდა, აიზიკი და სენდლერი სრულიად ღონემიხდილი არიან. ლეელას მთელი ლოყა დაკაწრული აქვს. ისაკას ცხვირიდან სისხლი სდის. ნებსამკა ხელებით უგონოთ იგერიებს ბავშვებს.

მაგრამ პიონერები უკვე ახლო არიან.



— ფიუ, ფიუ, ფიუ. — დაუსტვი-
ნა ქერა ვაქმა. ერთი მოზარდაგანი
წამოვარდა და გაიქცა. მას დანარჩე-
ნებიც გაედევნენ.

— დადექ. დასჩყივლა როზამ. ახ-
ლა ვერ გაგიჩივით.

ისაკა სწრაფი ნაბიჯით დაეწია
როზას:

— გაანებე თავი, რად გინდა ისი-
ნი. გაასწორებ მათ უცებ თუ რა?!

— ლეელი სდგას გადაბრუნებულ
ურემთან. გაკაწრული ადგილი აწით-
ლებულია მის მკრთალ ლოყაზე. იგი
მძიმედ სუნთქავს:

— რამდენხანს უნდა ვითმინოთ
კიდევ?

— ლეელე გრცხვენოდეს. შენგან
ამას არ მოველოდი. — ცხარობს პი-
ონერი ვანო სომოვი რუსული კოლ-
მეურნეობა „ზარია“-დან. — ნუთუ
ვერ გაგივია, რომ ეს ძველის ნაშ-
თია.

— ეს უბრალო ხელიგნური გამო-
სვლია. — მხარს უჭერს მას ვანო ში-
პოვი იმავე „ზარია“-დან. ისინი პა-
ტარა გროვია... ლეელე, რაზე ლაპა-
რაკობ. შენ ხომ ხედავ, რომ უმრავ-
ლესობა იმათთან არ არის.

როზა მიდის ლეელესთან:

— ბავშვებო, თქვენ, რასაკვირვე-
ლია, მართალი ხართ, მაგრამ გაიკეთ
და ხმა როზასი ოდნავ კანკალებს,
გაიგეთ, რომ, როდესაც ასეთ რამეებს
ხვდები ცხოვრებაში, როგორღაც ხე-
ლები ძიოს ეშვება... აი მე კაცი ვარ,
კაცი, უეცრივ კი... მოდის ახალი
ცხოვრება, ეს კი არ იცვლება.

— როგორ თუ არ იცვლება. —
ისმის გამოძახილი. ნუ თუ ჩვენ ყვე-
ლანი თქვენთან არა ვართ. თქვენ რა-
ზე ლაპარაკობთ.

ისაკა მოდის აჩქარებით, გვერდზე
გაიყვანს ლეელას და როზას.



— ყოველივე ეს მართალია, ამხა-
ნაგებო. ჩვენ ვიცით, რომ ჩვენ მარ-
ტონი არა ვართ.

მაგრამ ჩვენში ხომ იყო რევოლუ-
ტია. ეს დაუშვებელია... წინადადე-
ბას ვიდრე სიტყვიდან საქმეზე გა-
დავიდეთ. უნდა რაიმე მოვიმოქმე-
დოთ, რომ ასეთი შემთხვევები არ
ვანმოვრდეს.

— მართალია, მართალი.

— მოდით ერთად მოვიფიქროთ
რა ვაკეთოთ. ხელებს იშვებენ ყოვე-
ლი მხრიდან:

— მოდით ვაწარმოოთ სოფლად
მასიური მუშაობა.

— მოდით სკოლაში მოხსენება ვა-
ვაკეთოთ.

— კლუბში;

— შეიძლება ამ თემაზე მოხსენება
მოვაწყოთ.

— კედლის გაზეთში დავწეროთ.

— მოსავლის დღესასწაულზე ასე-
თი საუბარი ჩავატაროთ.

— პლაკატები ამ თემაზე.

— ამხანაგებო, ამხანაგებო! — გაყ-
ვირის ფეკლუმა გარიანოვა რუსუ-
ლი კოლმეურნეობა „ნამგალი და
ჩეჭი“ — დან. იგი დიდი ხანია შეე-
და გადაბრუნებულ ურემზე და იქ-
ხევეს ხელებს. — მომისმინეთ, ამხა-
ნაგებო. ამხანაგებო.

დიდის ვაივავლახით ახერხებს
ყველას დაჩუმებას.

ფეკლუმა თავისი ჭრელი კაბით
ხელბეჭადი დგას ყველაზე მა-
ღლა. მისი თვალები ელავენ, იგი ლა-
პარაკობს წყნარად, მაგრამ მისი ყო-
ველი სიტყვა მკაფიოდ ისმის:

— მე ვიდრე პირობას ვებრძო-
ლო ამ ბოროტებს, „ანტიემიტიზმს“.
მე ამასვე ყველგან ვილაპარაკებ. ჩემ-
თან არ მივცემ არავის ნებას შეურა-
ცოფა მოაყენოს ებრაელ ამხანაგს
ვე, ცავ.

— მეც

— მეც.

— მეც.

— ვფიცავ, ვფიცავ. — ისმის
მტკიცე ხმები.


ებრაელი ბავშვები სდუმან. მათ
უჭირთ დამიღონ თავიანთი ადილ-
ვება.

ლეელას ხელი, გადაბრუნებულ
ურემზე ჩამოდებული ოდნავ კანკა-
ლებს.

გოლდა დგას დაშვებული თვალებ-
ით. როზას ბაგეებზე გაკვირვებითი
ღიმღილი თამაშობს.

პირველი ლეელა მოვიდა გონს.

1) ანტიემიტიზმი — ებრაელები
სადმი სიძულვილი, მტრული განწყ-
ობილება — მთარგმნელი.



ქვიშხეთის ბანაკში

— მიუხედავად ყოველივე ამისა,
დროა რაიმე ვუყოთ ჩვენს საზამთ-
როებს. ჰაი, ხელები როგორღაც არ
იწევენ სამუშაოდ...

— მეც ისე ვარ, — აცხადებს გოლ-
და.

— ნულარ იმუშავენთ, არავინ არა
გთხოვთ, უთქვენოდაც გავაკეთებთ.

მორბენილი მოწაფეები გაექანენ
წინ, წამოაყენეს ურემი, უვლიაა ჩა-
რებს.

— დაუდე საზამთროები, — გან-
კარგულებას იძლევა ვანო შიპოვი.
სწრაფად მუშაობენ.

— დაზიანებული ბევრია, — თა-
ვის ქნევით ლაპარაკობს ლეელე.

— რა უნდა ვქნათ ახლა. — კიდე
უფრო იკუზება ისაკა.

— გაუმასპინძლდეთ მაინც ჩვენს
ამხანაგებს.

— დიახ, დიახ, მოდით, მოვაწყოთ
ზეიმი.

როზა შეხტა ურემის თავზე. მას
ლეელე მიჰყვა.

— ისაკა აწოდებს მათ თავისი
დანას. ლეელე და როზა დანით
ფრთხილად აცლიან ტალახიან ზედა-
პირს და სჭრიან საზამთროს თანას-
წორ ნაჭრებად.

ორგვლივ ბავშვები საზამთროს ნა-
ჭრებით ხელში. წვენი გასდისთ თი-
თებში. წამდაუწუმ ცვივა მიწაზე სა-
ზამთროს შავი თესლი.

— რა კარგი ყოფილა თქვენი სა-
ზამთროები.

— ძალზე გემრიელია, აქებენ ბავ-
შობი.

— დიახ, მიმდინარე წელს ჩვენთან
საზამთროს კარგი მოსავლია. —
ამყად ლაპარაკობს ლეელე და მისი
შავი თვალები ბრწყინავს.

ლინა ნიმაან.

1.

ბევრი მუშა ღვრიდა ოფლს. ლიხის მთას ქვის ღვიძლი გამოცალხის ათეული წლების წინად და მატარებელმა ფოლადის გველის ზურგზე შემდგარმა, დასავლეთ საქართველოში იკივლა.

ინჟინერმა თავი მოიკლა. ეჭვი შეიტანა თავის თავში.

ტყუილუბრალოდ. ლიხის მთა თითქოს ხელებგამლილი იხუტებს გულში მის პირდაპირ, ქვევით ატეხილ ქალებს. სტალინისში ბევრი მუშაა.

შავხალათიანები. ლურჯხალათიანები.

ლიხის მთის წვერზე ნაცრისფერი ღრუბელია — პატარა. ბელურას ფრთას ჰგავს — ხის შტოზე ნიავით დაკიდებულს. მტკვარი დინჯათ ამოძრავებს ტალღებს. ბორჯომისაკენ მატარებელი მიჰქრის.

ხმაურობაა. და რკინის გზის გაღმავამოღმა ჩაყოლებული ტირიფები ესალმებიან ფანჯრებიდან გადმოღებულ თავებს.

მგზავრი ვარ. ჩემს თვალში ყველაფერი ტრიალებს საცერივით.

ისევ ხმაურობაა. რკინისგზის გაღმა - გამოღმა პურის ყანა. ის მზისფერია. გლეხები. კალო. ოქროსფერი მწოიანი ხარები მუშაობენ.

საერთოდ გლეხური გარჯა. ქვიშხეთი. გაჩეობა.

ტამისკარისაკენ:

თითქოს დაგუბებულ წყალში თეთრი იხვები ფრთებს ისწორებენ. აქ კარგებია პიონერების თეთრად ჩაწყობილი. ტილოების სახლებს ხანდახან ლიხის მთიდან დაგორებული ნიავი აქანავებს. ლამაზია.

რესპუბლიკანური ბანაკი — ნორჩი ლენინელების — „გივანტი“

გავიარე პურის ყანაში ლარივით სწორი ბილიკი. შემდეგ ორლობე.

ლორს უღელი აწუხებდა.

გამახსენდა ქართველი პოეტის: „ლობეში ღორი უღლიანი ღრიალებს მწარეთ“.

ქვიშხეთში, ფართედ გაშლილ ხეების ჩრდილ ქვეშ უწინ თავადაზნაურობა ისვენებდა.

ესლა, უმთავრესად, ლიტერატურული საზოგადოება, მშრომელი ინტელიგენცია და პიონერთა რამდენიმე ასეული წყება დაიარება სააგარაკოდ. სამწუხაროდ, მოუწყობელი აგარაკია. მუშებისათვის უნდა მოეწყოს დასასვენებელი სახლები.

2.

სახლი. აგარაკი. აქ უნდა გავატარო ოცი დღე. გვერდით ღლე. ატრიალებს წისქვილის დიდ ბორბალს. ნაძვნარი ახლოს. ზევიდან გადმოსჩერება დანგრეული ეკლესია. აქ ბევრი დანგრეული ეკლესიაა.

ეზოში პატარა ხბო ნებივრობს, კუდით მზის სხივებს ეთამაშება.

მიიხედავ უკან. ხელისგულივით. შორს, შორს იყურები. იყურები დაკვირვებით, შეცდომა ხომ არაა, რომ ტფილისი არა სჩანს.

სიგრილია.

3.

ცა მოკრიალებულა. ბუნების რომელიღაც მოვლენას თითქოს მერცხლებიც დახმარებიან ღრუბლების გადადენაში.

სტალინისის თავზე შავი კვამლია. მოსჩანს კარგად. ღამე წითელი ყაყაოები იცინიან და კოხტად სხედან ბოძებზე.

გაიღო ჭიშკარი.

— მობრძანდით გეთაყვა, მობრძანდით. გუშინწინ გელოდებოდით. რათ დაიგვიანეთ? გოგი, გამოდი გარეთ, მოხედე, მდგმურები მოვიდნენ.

ჩვენ ჩვენ საქმეს ვაკეთებდით.

ჩვენი დიასახლისი ანიკო, დიასახლისობდა.

ღლე მომეწონა. ტირიფივით მოვიხარე წელში და პირი დავიბანე.

— რა ამბავია, ბატონო ტფილისში. სიძვირეა, იშოვება რამე. რომელ ქუჩაზე ცხოვრობთ. ზამთარში მოგინახულებთ.

განაგრძობს ჩქარ - ჩქარა, ხელების ქნევით ანიკო დიასახლისი.

წისქვილის ბორბლის ტრიალი არღვევს ღამის სიმშვიდეს.

მალალ მთის ზურგზე მთვარე ამოვარდა. თითქოს ფეხით ბურთი ისროლეს.

ღლე დიდია. ღრიალებს.

მთვარის შუქმა ეზოში ოქროსფერ ხარივით მოიკალათა.

ნაძვის ხეები ოდნავ ირხევა. ფრინველებს ალბად მთვარის შუქი ჩაუღვით თვალებში — გამოელვიათ და ფრთებით შეეხენ...

ვარსკვლავი მოსწყდა ცას.

— მოწყვეტილი ვარსკვლავიც კი კოლექტივის ქონებას ეცემა — ისე დაწყვეტილია იმათი დაბადების დღე: ამბობს ჩვენი დიასახლისის მეზობელი ქალი ალათი.

— რატომ გგონია დიდელა ეგრე უპასუხებენ ბანაკიდან გადმოსული პიონერები.

— რატომღა ვარსკვლავის მოწყვეტა კარგი არაა და ვაი იმას ვის ეზოშია ც დაეცემა.

სჯერა ალათის. როგორ გადააჯერებ კულაკს. წისქვილის ბორბალი ტრიალებს. წისქვილის ქვა მოძრაობს. ხორბალს ფქვავენ. მოსავალი კარგია. რალა უშავს გლეხს! სოფლის კოლექტივსაც შესანიშნავი მოსავალი აქვს. უხვით პური. უხვი ხილი. ვენახი ცოტა აქვთ. ღვინოზე ზედმეტია ლაპარაკი.

4.

ალათის და მის მეუღლეს ზაქარაის არ მოსწონთ სოფელში კოლექტივი არ უხარიათ.

ორიოდე მხარის მიმცემი ჰყავთ. ხან წყაროსთან, ხან წისქვილთან, ჩამოჯდებიან ქვაზე და იგინებიან.

ახალ სოფელში ახალი ცხოვრებაა. ტრაქტორი ამაყად დგას.

— პურის დამზადების კამპანია წარმატებით ტარდება. ზაქაროს წისქვილი კოლექტივს ეკუთვნის ეხლა. გაბრაზებულია კულაკი.

ის ღამით ტყეში მუშაობს, ნაძვის სწორ ხეებს ემტერება. თუ არ ჭირდება — გულს იფხანს. სახელმწიფოს ხომ აზარალებს! ზამთარში ხელს



დამგვრელი პიონერები

მოითხოვს — თუ შერჩა კერია, ცეცხლი!

— წისქვილის ქვა.

აი რა ამძიმებს კულაკის გულს.

ან ზიანი უნდა მიაყენოს...

ან უნდა დაიბრუნოს.

ვინ მისცემს, ვინ დაუბრუნებს.

— კაცო, ზაქარია! სახლის ქვეშ ასე აშკარად რომ დაგიწყვიტა ეგ ნაძვის ხეები — რას ნიშნავს, რა ამბავია? თუ სახელმწიფოს არ ზოგავს, ხე მაინც შეიცოდეს, ხე!

— ჩემ წისქვილს ლიხის მთის ტყე ვერ აუღებია.

ხორბალი კარგად დაფქვით. შეირჩინეთ, რალა! ჩემი წისქვილის ქვა!

გაბრაზებით უბასუხებდა კულაკი ზაქარია — კოლექტივის წევრს — ივანე ლაცაბიძეს.

ივანემ კარგად იცის კულაკის ჯიუტობის ამბავი. ზაქარია მტკიცედ იღვა.

აწვალებდა ბოროტი აზრი.

5.

სალამო. 9 საათი.

წისქვილთან ლამაზი ადგილია. სწორი, მაგიდასავით.

თეთრი, მძიმე ლოდები აწყვიტა.

შევიკრიბენით. კარგია მთვარის ქვეშ ყოფნა.

ახალგაზრდა, მაგრამ აზრებით მოზერებული ციციწო საშუალო საუკუნეების ენით ლაპარაკობს. ქეთევანი ლექსებს კითხულობს და თითქმის ვარსკვლავებით მოჭედილ ცას ეკამათება.

ელენე დინჯათ ზის. ვმხიარულებთ მოაგარაკენი...

სხვა რა უნდა იყოს!

ტფილისში დავბრუნდი. საქმემ ერთი კვირა დამტოვა.

— არც ისე ცხელა ქალაქში. გასტრონომია მდიდარია. ცივი წყლებია — რამდენიც ვნებავთ. როგორც სჩანს განჯის ყურძენი იგვიანებს.

სოფელში დაბრუნებულმა ინფორმაციის სახით მოვახსენე — მოაგარაკეთ.

ჩემი არ ყოფნის დროს დიდი ამბები დატრიალებულა...

ძროხა დაუკლავთ სოფელში. კისერში კიბო ჰქონებია. ექიმმა ადრე გაიგო. ნაყიდი ხორცი დააბრუნეს მოაგარაკებმა.

კულაკი ყოფილა ძროხის პატრონი. ფული დაუბრუნებია...

მთვარე აღარაა სრული.

ნახევარი ნაპირი მოტყდა.

მაინც ლამაზი ღამეა.

6.

ივანე ლაცაბიძემ ხორბლით სავსე ტომარა შეათრია წისქვილში. ფენები ძლივს შედგა კარებში. ოფლი მოიწმინდა ჩითის ცხვირსახოცით. თუთუნის გაახვია.



დამკვრელი პიონერები

ბორბალი არ მუშაობს. წისქვილი გაჩერებულა.

— რაშია საქმე!

წამოიძახა. წამოხტა. ნახა. დაათვალიერა.

წყალი სხვა მიმართულებით მიდის. ხეც ბორბლის ნაპირი დამტვრეულა. წისქვილის ქვა აუვსიათ სილითა და პატარა კენჭებით.

მავნებლობა!

ივანესათვის აშკარა იყო მავნებლობის სახე.

ვინ იქნებოდა — თუ არა ზაქარია კულაკი და მისი მარჯვენა ხელი — ქალბატონი ალათი.

— ჩემ წისქვილს ლიხის მთის ტყე ვერ აუღებია;

ხორბალი კარგათ დაფქვით. შეირჩინეთ, რალა!

ჩემი წისქვილის ქვა!

ივანემ გაიხსენა ზაქარიას ეს აიტყვები.

დაპატიმრებული ზაქარია სოფლის აღმასკომში მიიყვანეს.

— რას ბრძანებთ, როგორ გეკადრებათ. ჩემ წისქვილზე გული კი მწყდებოდა, მაგრამ ასეთ სისაძაგლეს როგორ ეკადრებს ჩემი ქალარა ნარევი თავი, ავი ძალღი ხომ არა ვარ. შეიძლება პიონერები გადმოვიდნენ ბანაკიდან და ითამაშეს. ან იქნებ ახალგაზრდები, მოაგარაკენი იკრიბებიან წისქვილთან და იმათ...

არ დაასრულებდეს.

ვერც ცოლის განმარტებამ გასჭრა.

აშკარა იყო ყველაფერი.

— შე საზიზღარო, შე ავო ძაღლო. პიონერები ვიცი რომ როგორი მუგობრებიც არიან ბანაკობის დროს ჩვენი გლახობისათვის. მუგობრებიცაა საც ვიცნობთ. მიმართა თ-რემ.

გაასამართლა სოფელმა ზაქარია კულაკი.

დაადგინეს:

„როგორც მავნებელი და გაძევება, გაძევებულ იქნას თავის მეუღლით სოფლიდან“.

დადგენილება სათანადო უმაღლესმა ორგანომ დაამტკიცა.

მათი გადასახლების შემდეგ სოფელმა ამოისუნთქა.

ცულ დასაქმე დამართა „წისქვილის ქვამ“ ზაქარიას.

7.

სოციალისტურმა შრომამ, კოლექტივმა — ისევე აამუშავა წისქვილის ბორბალი.

ივანეს კლასი იმარჯვებს.

კოლექტივი ტრაქტორის ხმაზე მუშაობს. ოქროსფერ ხარებს უფლიან კოლექტივში რკინის ბიჭები.

კალოზე კოლექტიური სიმღერაა.

8.

ტფილისიდან წერილი მივიღე:

„ვადაზე ადრე თუ ჩამოხვალ კარგი იქნება. სიცხე არ შეგაწუხებს. თუმცა ტფილისურად „თბილა“.

სამუშაო ბევრია. ჩემი გადარეული ბიჭი ლეღზე თუ იბანს ტანს. როგორ მოსწონს პიონერების ბანაკი? ჩამოდი“. შენი ვასო.

9.

ეტოვებ ძვირფას სოფელს. პატიოსანი შრომით გამარჯვებულს.

მიხარია, რომ დატრიალდა წისქვილის ბორბალი და აამუშავდა წისქვილის ქვა.

ს. გაბესკირია.



პიონერები მუშაობენ სახერხ ქარმანაში.

თქვენ რას იტყვით პიონერებო ამ საუბრის გარშემო



აქტივისტი გივი ჩამომჯდარიყო ქალაქის ერთ ერთ ბაღის მწიგნულის სკამის ბოლოში და გულმოდგინეთ კითხულობდა ჟურნ. „პიონერს“. მოულოდნელად მოესმა „იყავ მზად!“ — „მზად ვარ“, — ნაწყენი კილოთი უბასუხა გივიმ და ჟურნალისათვის თვალი არ მოუცილებია.

რატომ იწყებთ თავს? — შეეკითხა მას მოსულს.

გივიმ უხალისოდ ასწია თავი და დაინახა მის წინ მდგარი ზარმაცი კოლა.

— რა გნებავთ?

— არაფერი? რომ მნებავდეს რამე, ჩავიბრუნდი აგერ კოოპერატივში და ვიყიდიდი! წყნარად უბასუხა კოლამ. — მე დიდი ხანია მსურს რომელიმე პიონერს ვესაუბრო — სთქვა კოლამ, — და შენ რომ აქ მჯდომი შეგნიშნე. მოვიფიქრე და კიდევ გადაწყვიტე ამ სურვილს შენთან შესრულება.

სთქვი და მოკლედ მოსქერი, — ხმა — მაღლა უთხრა გივიმ — არ გააქიანურო ლაპარაკი, თორემ პან-ლურს დაიმსახურებ. აბა დაიწყე!

— ჰო, მინდოდა მეთქვა დაიწყო კოლამ, — რომ, მე მაქვს რამდენიმე გადაუწყვეტელი საკითხი, რომელიც პიონერებს ეხება. მაგალითად: ბევრი საქმეები გვაქვს რაზმში: სამრეწველო - საფინანსო გეგმის შესრულებას დახმარების დარგში ჩვენ ვამუშავებთ ზარმაცებს, ლოთებს, ერთი სიტყვით, ენერგიულ საქმიანობას ვაწარმოებთ, მაგრამ აღსანიშნავია, ისიც, რომ სხვა მიმართულებით დანარჩენ მუშაობის დარგებში, რაზმი არაფერს აკეთებს. ახლა გთხოვ : მიხსნა: შეიძლება თუ არა საქმე ისე დაეაჯენოთ, რომ რაზმის თითოეული რგოლი ცალ - ცალკე საქმეს აკეთებდეს?

— კოლა, შენ ცდები! რა აზრს გაქვს დავალებები განა ცალკეული რგოლებით შეიძლება გატარდეს ცალკე რაზმში? შენ უნდა გესმოდეს, რომ ეს საკითხები მეტად საპასუხისმგებლო და სერიოზული დავალებებია!


— აბა! როგორ ასრულებენ სხვა რაზმები? მაშასადამე, მათ ჩვენზე ნაკლები საქმეები ჰქონიათ?! — ჩაილაპარაკა კოლამ.

შენი ლაპარაკიდან, კოლა ის გამოდის, რომ თითქმის ტემბების შენელება აუცილებელი, შენ საქმაოდ დიდი წონის ოპორტუნიზმს დაათრევ მაგ გაბერილი თავით. — დაბოლოვა გივიმ და თანაც გაიფიქრა: კარგი იქნებოდა კოლას შესახებ რაზმის საბჭოში დამსვა საკითხი.

— განა ეს ოპორტუნიზმი? — ნაწყენად იკითხა კოლამ.

— კარგი, ჩაჰყევი ქვემოთ, გააგრძელე! — საქმის ინტერესით უთხრა გივიმ.

— მეორე კითხვა იქნება, თუ ვინ არის ნამდვილი ნორჩი დამკვრელი. — გააგრძელა კოლამ, და მე ვფიქრობ რომ არის ის, ვინც კარგად სწავლობს, კარგად მუშაობს და სხვა, ერთი სიტყვით, ის ნამდვილი პიონერია და ნამდვილი პიონერი — ეს ნამდვილი ნორჩი დამკვრელია. მაშასადამე, თუ ეს ასეა მაშინ ყველა პიონერები რატომ არ არიან დამკვრელები — პიონერები?



ბანაკი „გიგანტის“ პიონერები ეხმარებიან ქვიშხეთის კლმურენებს.

— მიტომ რომ... მიტომ რომ... ეს სრავის გაუთვალისწინებია. — მკვირცხლად უბასუხა კოლამ დაბნეულ გივის!

— კარგი კიდევ რას იტყვი? სთხოვა საუბრის გაგრძელება.

— შესამი — ყოველ წელს, რაზმში ტარდება პიონერ აქტივის გადარჩევები და მინტერესებს შეგეკითხოთ თუ რა საქიროა მათი გადარჩევა? როცა შუა წელში ისედაც საკმაო აქტივი გროვდება გადარჩევაც მიტომაა საქირო მაგრამ... უნდოდა გივის კიდევ ეთქვა რაღაც, მაგრამ უცხად დაუმატა. — კარგი, გააგძელე!

— მეოთხე და უკანასკნელი კითხვა: — ჩაილაპარაკა კოლამ, — მე მგონია, რომ პიონერ ორგანიზა-

ციაში მუშაობის სისტემა, პიონერთა ცენტრალური ბიურო აძლევს მითითებას საოლქო ბიუროს. ეს უკანასკნელი კი ჩვენი რაიონისას და რაიბიურო კი რაზმებში გზავნის და გზავნის ცირკულიარებს და დირექტივებს: გააკეთეთ ესა და ეს, შეგრობეთ ამდენი და ამდენი და სხვა! ჩემის აზრით კი ასე უნდა ხდებოდეს: თითოეული პიონერი, ყოველგვარ ბიუროების გარეშე ღებულობს თავის თავზე მოვალეობებს, გააკეთოს ესა და ეს. თითოეული პიონერის ყველა ინდივიდუალურ ვალდებულებების გარშემო რგოლში იმართება მსჯელობა, რომელიც ზოგის ვალდებულებას ან სრულიად სცვლის. ან დამატებით და შესწორებით ვალდებს ცხოვრებაში გატარებას. რგოლებში დამუშავებული ვალდებულებანი შემდეგ გადადის მთელი რაზმის საერთო კრებაზე, რომელსაც გამოაქვს რაზმის საერთო დასკვნა. გასაგებია, რომ ამასთანავე საქმიანობენ წითელი და შავი დეფექტი. კედლის გაზეთები და მრავალი სხვა. რაიბიურო კი თვალკურს უნდა აღედგინებდეს რაზმის ვალდებულებების სისრულეში მოყვანას. შენ რას იტყვდი ამის გარშემო გივი?

— ჰე, კოლა, კოლა! პიონერულ სიტყვას ვამბობ. რომ „შენ მეტად ღრმა მეცნიერულ მოსაზრებამდე მისულხარ“, მხოლოდ მოსაზრებით, ხოლო საქმით შენ ჯერ არაფერი დაგიმტკიცებია, რაც შეხება უკანასკნელ კითხვას ამის შესახებ გადაწყვეტით ვერაფერს გეტყვი, ჩემო კოლა, თავიდან უბასუხა გივიმ.

შენიშვნა: ბავშებო! ჟურნალ „პიონერის“ ფურცლებზე გავშალეთ კამათი შემოაღნიშნულ გივისა და კოლას საინტერესო საუბრის გარშემო, პიონერ აქტივო! გამოსთქვი თქვენი აზრი ამ ორი პიონერის საუბრისას წამოჭრილ — 4 საინტერესო კითხვის გარშემო, — რაც მოაწოდეთ რედაქციას წერილობით, ან ინდივიდუალურად ან კოლექტიურად დამუშავებული.

ჟურნ. „პიონერის“ რედაქცია.



ჩვენი ბაზა გაიყო სამ ჯგუფად: საბანაკოდ წასასვლელნი, ქალაქში დარჩენილნი და ერთეულებში სოფლად მიმავალნი.

თითველ ამ ჯგუფთან ჩვენ ვატარებთ ახსნა - განმარტებით მუშაობას. სოფლად მიმავალ ჯგუფის აქტივმა (ირთიოლებისგან) შეადგინა გეგმა, რომელიც ყველა ბავშვებს დაურიგეს. ეს გეგმა შემდეგ ბაზის საბჭოს ხელმძღვანელმა იქნა დამტკიცებული.

პიონერო! — იწყებოდა გეგმა

მიემგზავრები რა სოფელში, გასოფლდეს, რომ სოციალისტურ მშენებლობაში შენ ხარ პარტიისა და კომკავშირის დამხმარე.

გასოფლდეს ჩვენი პიონერული ლოზუნგი: „ხუთწლედს არდადეგები არა აქვს“ შეათავსე შენი კულტურული დასვენება სოფლის ბავშვების მუშაობასთან, კოლმეურნეობებში დახმარებით და კლასიური მტრის წინააღმდეგ ბრძოლის გზით.

გეგმა

პიონერი (გვარი, სახელი) ქარხნის პ.-კოლექტივიდან, მიმავალი (სოფელი).

1. მისწერე წერილი სოფლის ბავშვებს და გაიგე, თუ რით შეგიძლია დახმარების გაწევა და რა არის საჭირო თან წასაღებად სოფელში. დასტოვე სოფელში შენი მისამართი.

3. გამოიწერე შენთვის სოფელში კომკავშირის და პიონერის გაზეთები: „ახალგაზრდა კომუნისტი“ „ნორჩი ლენინელი“ და ჟურნალები: „პიონერი“, „ოქტომბრელი“ და სხვა.

4. სოფელში ჩასვლისას მიემგზავრე პიონერ-რაზმს.

5. თუ რაზმი არ არის ჩამოყალიბებული, ისარგებლე შენი იქ ყოფნით და დაარსე.

6. გაიგე თუ რა მდგომარეობაშია საზაფხულო სკოლა, და მონაწილეობა მიიღე მის მოწყობაში.

7. იმუშავე სოფლის ბავშვებთან ერთად კოლმეურნეობებში.

8. შეისწავლე სასოფლო - სამეურნეო იარაღები.

9. მკის დროს დაარსე; სოფლის პიონერ რაზმთან ერთად, სამუშაო ბაგეები.

10. ვისთანაც მიიხიარ, გამოიმუშავე - ხელშეკრულება, მისი კოლმეურნეობაში შესვლის შესახებ.

11. ესაუბრე სოფლის ბავშვებს და ხელშეკრულების ირგვლივ და ასწავლე რომ, მათაც დასდონ ასეთივე ხელშეკრულებები თავის მშობლებთან.

12. ბავშვებთან ერთად დაეხმარე

რით სოფლის საბჭოს გადასახადების აკრეფაში.

13. თვალსაჩინო ადგილას გამოაკრევენე შენი დაფა, რათა მასზე ამხილო გაგადასახადების არ გადახდელები.

14. მოიწერე წერილები შენი მუშაობის შესახებ, შენს ბაზაში და „ჟურნალ პიონერის“ რედაქციაში ამ მისამართით: ქ. ტფილისი, აღმასკომის ქ. № 7 სახელგამი ჟურნ. „პიონერის“ რედაქციას.

შუსნალ პიონერის რედაქცია.



